პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ბრძოლის ხმა

1934 წ. აპრილი
პარიზი
№ 42
1934 — AVRIL
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა

«L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ერთა ლიგა და საბჭოები

ეს ერთი ხანია დაჟინებით ლაპარაკობენ საბჭოთა ერთა ლიგაში შესვლაზე. დაინტერესებულ დიპლომატებს და ამათ შორის მოსკოველებს ამ ნიადაგზე გაჩაღებული აქვთ მუშაობა და მოსალოდნელია ახლო მომავალში ეს საკითხი უკვე ოფიციალურათ დადგეს ჟენევის დღის წესრიგში. მართალია საბჭოთა მოსკოვი თავიდანვე უარყოფდა ყოველივე ურთიერთობას ლიგასან და მას აფურთხებდა, მაგრამ მას არა ერთხელ დაულევია ასეთი დაწუნებული წყაროსაგან და უეჭველია ახლაც ერთა ლიგას ნექტარათ გამოაცხადებს.

რა აზრი აქვს ერთა ლიგას და რანაირი ურთიერთობა შეიძლება ჩამოვარდეს მას და საბჭოთა შორის?

ერთი ხალხი ცხოვრობს მეორის გვერდით, ისე როგორც ერთი ადამიანი მეორის. ამიტომ დასაბამიდან იდგა პრობლემა მათი ურთიერთობისა და დამოკიდებულებისა. ძველათ ამ საკითხს სწყვეტდენ მარტივათ. ადამიანთა და ხალხთა ურთიერთობის ამწყობი იყო ერთი და იგივე მოვლენა—ფიზიკური ძალა, უძლიერესის მიერ დამორჩილება უსუსტესის და თავის საბრძანებელში შემოყვანა. მძლავრი პიროვნება ხდიდა სუსტს მონათ, ყმათ, ვასალათ—იმისგან დამოკიდებულათ; მძლავრი ერი იპყრობდა სუსტს და მას ხდიდა თავის ტყვეთ, მოხარკეთ, მორჩილათ. პიროვნებათა და საერთაშორისო მდგომარეობა ეწყობოდა ერთ და იმავე პოლიტიკურ ხაზზე: მუშტი იყო ყველაფერი, უფლება არაფერი.

ამ ძალის პოლიტიკას ლახვარი ჩასცა პირველათ საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ. მან გამოაცხადა «ადამიანის უფლება» და მასზე ააგო საერთაშორისო უფლებაც. ეს უკანასკნელი დედა-აზრი შეტანილ იქნა 1791 წლის კონსტიტუციაში ასეთი სიტყვებით:

«საფრანგეთის ერი უარს ამბობს დაიწყოს რაიმე ომი დაპყრობის მიზნით, არასოდეს არ მიმართავს თავის ძალას სხვა ხალხის თავისუფლების წინაალმდეგ». ეგევე გაიმეორა 1848 წ. კონსტიტუციამ: «საფრანგეთის რესპუბლიკა პატივს სცემს უცხო ერთ ისე როგორც მოითხოვს მათგან პატივისცემას თავის ერის მიმართ. ის არ დაიწყებს არავითარ ომს დაპყრობის მიზნით და არ მოიხმარს თავის ძალას სხვა ხალხის თავისუფლების წინაალმდეგ».

1864 წ. კ. მარქსმა დიდი რევოლიუციის მიერ აღიარებული «ადამიანის უფლებები» გამოაცხადა უმაღლეს რეგულიატორათ ერთა ურთიერთობისა. ინტერნაციონალის დამაარსებელ სიტყვაში მან სხვათა შორის თქვა: «კანონი მორალის და სამართლიანობის, რაც განაგებს ურთიერთობას ადამიანთა შორის, უნდა გახდეს უმაღლეს კანონათ ერთა ურთიერთ დამოკიდებულებისა. ბრძოლა აი ამგვარი საერთაშორისო პოლიტიკისათვის ნიშნავს მონაწილეობის მიღებას საერთო ბრძოლაში მუშათა გასანთავისუფლებლათ».

1875 წ. საერთაშორისო მშვიდობიანობის ლიგამ ეს დებულებანი გაიხადა თავისათ და გამოაცხადა «ხალხთა უფლებანი», სადაც სხვათა შორის ვკითხულობთ: «ხალხთა უფლება—ეკუთვნოდეს და მართავდეს თავის თავს არის ხელშეუხებელი, განუყრელი. არც ერთ პირს, არც ერთ მთავრობას, არც ერთ ხალხს არ აქვს უფლება არავითარი მიზეზით დაიკაოს მეორე ხალხი ანექსიით, დაპყრობით თუ სხვა რაიმე საშუალებით» და სხ.

ამნაირათ, საერთაშორისო ურთიერთობა ვითარდება ორ მოპირდაპირე ხაზზე—ძველი, დაპყრობის და ძალმომრეობის, ახალი, უფლების და თავისუფლების. ყველა რევოლიუციური ხელისუფლება ატარებდა ახალ დროშას. ყველა რეაქციონური და კონტრ-რევოლიუციური ძველს. უკანასკნელი ომის მსვლელობაში ეგევე ორი მიმდინარეობა დაუპირდაპირდა ერთმანეთს, ძალის და უფლების თეორია დაიჯახენ. მოკავშირეებმა აღმართეს უფლების დროშა და ამ ლოზუნგით შევიდენ ომში. 1914 წ. ორ ოქტომბერს ინგლისის მთავრობის მეთაურმა ასკვიტმა წარმოთქვა საჯარო სიტყვა, სადაც აღიარა «რომ პატარა ერებსაც აქვს ისეთივე კანონიერი უფლება სიცოცხლის, დამოუკიდებლობის და თავისუფლების როგორც დიდ ერთ». 22 ოქტომბერს 1916 წ. ამერიკის პრეზიდენტი ვილსონი აქვეყნებს დეკლარაციას, სადაც ის აცხადებს «გამოინახოს ზომები პატარა და სუსტი ერების განსათავისუფლებლათ უსამართლობის და ძალმომრეობის საშიშროებისაგან». ეს იყო დაწყება საერთაშორისო ორგანოს შექმნის უფლების და თავისუფლების საფუძველზე. 22 იანვარს 1917 წ. იგივე ვილსონი აქვეყნებს მეორე დეკლარაციას, სადაც ის სწერს: «მე ვიძლევი წინადადებას—ყველა ერმა ერთსულოვანათ მიიღოს პრეზიდენტ მონროეს დოქტრინა: არც ერთი ერი არ ეძებს თავის პოლიტიკურ აგებულებაში მოაქციოს სხვა ერი ანუ სხვა რომელიმე ხალხი, თვითეული ხალხი თვითონ თავისუფლათ განსაზღვრავს თავის საკუთარ პოლიტიკურ რეჟიმს, ვითარდება საკუთარი გზით დაუბრკოლებლათ, ყოველივე მუქარის და ძალდატანების გარეშე, პატარა ერები დიდ და მძლავრთა გვერდით... ყოველივე მშვიდობიანობა, რომელიც არ იქნება დაფუძნებული ამ პრინციპებზე დაინგრევა.» 12 თებერვალს მოკავშირეებმა უპასუხეს ვილსონს კოლექტიური ნოტით, სადაც აცხადებდენ «თანხმობას ერთა ლიგის შექმნაზე, რომ ამით უზრუნველ ვყოთ მშვიდობიანობა და სამართლიანობა მთელ ქვეყანაზე».

აი ეს დიადი პოლიტიკური მოძრაობა, დაწყებული დიდი რევოლიუციიდან, დაგვირგვინდა გამარჯვებით დიდი ომის გათავებისას, დაარსდა ერთა ლიგა. ის არის უმაღლესი საერთაშორისო ორგანო სავსებით დაყრდნობილი ერთა უფლებაზე, დაპყრობის დაგმობაზე და ამით მშვიდობიანობის უზრუნველყოფაზე; მშვიდობიანობა სამართლიანობით—აი მისი დროშა. ეს ძირითადი აზრები დაედვა საფუძვლათ მის სტატუტს. აი მისი შესავალი:

«ამა პირობის უმაღლესი დამდებნი გამოდიან რა იმ მოსაზრებიდან რომ ერთა შორის თანხმობის გასავითარებლათ და ზავის და უშიშროების უზრუნველსაყოფათ საჭიროა:

«მიღებულ იქნას განსაზღვრული ვალდებულებანი არ მიმართონ ომს;

«ცხადათ წარმოება საერთაშორისო ურთიერთობის, დაფუძნებულის სიმართლეზე და პატიოსნებაზე,

«ასრულება სასტიკათ საერთაშორისო უფლების წესების, რაც დღეიდან აღიარებულია მთავრობათა მოქმედების ნამდვილ წესათ,

«გამეფება სამართლიანობის და ზედმიწევნით პატივისცემა ხელშეკრულობათა ყველა ვალდებულებების აგებულ ხალხთა ურთიერთ დამოკიდებულებაში».

ამ მუხლების შინაარსი და მოსაზრება დღესავით ნათელია. აქ თავმოყრილია მოკლეთ და სხარტულათ მთელი საუკუნის ნააზრევი და ნაქადაგევი მოწინავე დემოკრატიის მიერ საერთაშორისო ნორმის სფეროში. ეს პაქტი ამით დაეპირდაპირა ძველ პოლიტიკურ ხაზს, ხაზს ძალმომრეობისას და დაპყრობისას. მხოლოდ ამ მუხლთა შორის არის ერთი, მეოთხე, რომელიც მოითხოვს განმარტებას; აქ ნათქვამია, რომ უფლებრივი საერთაშორისო ნორმა გულისხმობს «აგებულ ხალხებს» (les peuples organisès), ე. ი. იმათ რომელთაც მიაღწიეს პოლიტიკურ სიმწიფეს, აიგეს თავისი საკუთარი პოლიტიკური შენობა, გახდენ პოლიტიკური ერი. მაშასადამე ამ მუხლიდან გამორიცხულია ხალხი, როგორც ეტნოგრაფიული მოვლენა, განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი, რომელნიც თავის მდგომარეობით და შეგნებით არ შეადგენენ საგანს საერთაშორისო უფლებისას. ასეთები ჯერ კიდევ მოიპოვებიან ქვეყანაზე, განსაკუთრებით პრიმიტიულ კოლონიებში.

მაშასადამე, ლიგა მოითხოვს თავის წევრისაგან ერთა შორის დაცვას მშვიდობიანობის, სამართლიანობის, პატიოსნების, დადებულ ხელშეკრულობათა და პირობათა ასრულებას; ის უარსყოფს ომს და ძალმომრეობას.

აი ამ ლიგაში აპირებს საბჭოთა ხელისუფლება შესვლას. როგორ უხდება ეს პირობები მას? სწორეთ ისე, როგორც უნაგირი ძროხას. საბჭოთა მთელი საერთაშორისო პოლიტიკა იყო და არის ყველა ამ მუხლების აშკარა დარღვევა. მან აწარმოვა ომი ყველა მის მეზობლათ მდებარე თვითგამორკვეულ ერებთან; მან დაიპყრო ყველა ვისაც კი მოერია—უკრაინა, კავკასია, დასტოვა დაუპყრობელი ვისაც ვერ მოერია—პოლონეთი და ბალტიკა. ე. ი. მან სისტემატიურათ დაარღვია პირველი, მეორე და მესამე მუხლი ლიგის პაქტისა. მან გამოაცხადა ძალმომრეობა საერთაშორისო რეგულიატორათ. კიდევ მეტი, მან დაარღვია თავისი საკუთარი ხელშეკრულობა, თავისუფლათ დადებული მეორე სახელმწიფოსან—საქართველოსან და დაიპყრო ის. მან ჩამოგლიჯა ჩინეთს ავტონომიური გარეშე მონგოლია და ხელში უჭირავს. ამ სამი წლის წინეთ ის შეიჭრა მანჯურიაში, დაარბია ის და ხმალით თავს მოახვია მას თავისი პირობები. მან გამოაცხადა ომით თავისი დოქტრინის განხორციელება საერთაშორისო ნორმათ, მოსკოვი თავიდან დგას სავსებით ძველ საერთაშორისო მოძღვრებაზე, ხმალი არის მისთვის უმაღლესი გადამწყვეტი ერთა ურთიერთობისა.

ამ სერიას მიუმატეთ ის საყოველთაოთ ცნობილი ფაქტი, რომ მოსკოვის ხელისუფლება თავისი ხარჯით და მფარველობით ქმნის და ამუშავებს აშკარათ თუ საიდუმლოთ კომუნისტურ პარტიებს ყოველგან, ყველა ქვეყნის მთავრობათა წინაალმდეგ. ის მფარველობს და ეხმარება კაცით თუ ფულით სამხრეთ ჩინეთის კომუნისტურ ჯარებს.

როცა ის ამ ბაგაჟით შემოდის ლიგაში, რას ნიშნავს ეს? ნიშნავს მის მიერ ამ ბაგაჟის მის კარებთან დატოვებას, თავის თავის გაწმენდას და განბანას, თუ თვით ლიგის ჩამოქვეითებას ძველ საერთაშორისო დოქტრინამდე და უფლებრივი პრინციპის უარისყოფას?

საბჭოთა ხელისუფლების გაწმენდა ნიშნავს მის მიერ მოწინავე დემოკრატიის პრინციპების მიღებას; ადამიანის და ერის უფლება მისთვის სავალდებულო ხდება. ძალმომრეობა თავის სახლში თანამემამულეთა წინაალმდეგ თავისთავათ გულისხმობს ძალმომრეობას უცხო ხალხების წინაალმდეგაც. საერთაშორისო უფლებრივი დოქტრინა ხალხს და მოქალაქეს ერთ ხაზზე აყენებს და ერთი პოლიტიკური საზომით ზომავს. მაგრამ პრაქტიკაში ეს კავშირი ხშირათ ირღვევა და არის შემთხვევები შიგნით დესპოტიური მთავრობა გარეთ უფლების დროშით გამოდის. მოიგონეთ ნიკოლოზ მეორის სამშვიდობო პროექტი ჰააგის კონფერენციაზე წარდგენილი (1898 წ.). მაგრამ ყოველ შემთხვევაში ლიგის წევრი საგარეო სფეროში მაინც უნდა აკმაყოფილებდეს მის ძირითად მოთხოვნილებებს. საბჭოთა სალიგოთ მონათვლა აუცილებლათ გულისხმობს მის საგარეო ცოდვების მონანიებას, მის მიერ დაპყრობილ ერთათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭებას.

შეიძლება მოსკოვის ადვოკატებმა გვითხრან, ლიგის პაქტით სავალდებულოა დაცვა მხოლოდ ხელმოწერილი საერთაშორისო ვალდებულებათა და არა საზოგადოთ ერთა თვითგამორკვევაო. ამ ინტერპრეტაციას არღვევს შესავალის მეორე მუხლი, სადაც ხაზგასმით აღიარებულია «დაცვა ერთა შორის სამართლიანობის და პატიოსნების». ვერაფერი სამართლიანობა და პატიოსნებაა თავისუფალ ერს შეესიო და დაიმონო, თუნდაც პირობა არ ქონდეს მიცემული არ შეგესევიო. გამოდის რომ სადაც ასეთი პირობა არ არის დადებული, იქ შესევა და ძალმომრეობა გამართლებულია! ეს იქნებოდა ლიგის პრინციპების სავსებით დატოვება და ფარაონების პრინციპების აღიარება.

მაგრამ დაუშვათ დაუშვებელი, შევავიწროვოთ დავის საგანი ხელშეკრულებებით. მოსკოვმა 7 მაისის (1920 წ.) ხელშეკრულობით იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და შევიდა მასან ურთიერთობაში როგორც სუვერენულ სახელმწიფოსან. ის იცნა ასეთათ ფაქტიურათ და იურიდიულათ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფომ. ქართველი ერი გახდა საყოველთაოთ ცნობილი პოლიტიკურათ და იურიდიულათ «აგებული ერი». მიუხედავათ ამისა მოვიდა მოსკოვის ჯარები და ის ომით დაიპყრო და დღემდე მას ხელიდან არ უშვებს. ეს აშკარაა საქვეყნო დანაშაულობა არის ამავე დროს ლიგის ყველა მუხლის დარღვევა. ეს ასეთათ იცნო თვით ლიგის საზოგადო კრებამ ორჯერ და გამოიტანა შესაფერი დადგენილება. მან 22 სექტემბრის 1922 წ. სხდომაზე ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

«ერთა ლიგის საზოგადო კრებამ, განიხილა რა საქართველოს მდგომარეობა, წინადადებას აძლევს თავის საბჭოს თვალყური ადევნოს ამ ქვეყნის ამბებს ისე რომ ხელიდან არ გაუშვას შემთხვევა, რომელიც კი წარმოსდგება რომ დაეხმაროს, მშვიდობიანი ზომებით და საერთაშორისო უფლების წესების თანახმათ, ამ ქვეყნის ნორმალური მდგომარეობისათვის დასაბრუნებლათ».

ეგევე რეზოლიუცია დაადასტურა იმავე კრებამ 25 სექტემბრის 1924 წლის სხდომაზე.

ამნაირათ, აშკარა, უდაოა ორი ფაქტი: მოსკოვის მთავრობის მიერ საქართველოს დაპყრობა წინაალმდეგ დადებული ხელშეკრულებისა და ლიგის მიერ მისი დაგმობა და თავის თავზე აღება ვალდებულების ხელიდან არ გაუშვას შემთხვევა ამ მდგომარეობის გამოსასწორებლათ.

არასოდეს ლიგას არ ექნება უკეთესი შემთხვევა, რუსეთი მის კარებზე აკაკუნებს.

ვიცი, მოსკოვის ადვოკატები შემოგვძახებენ: რას ამბობთ. საბჭოები მოდიან ლიგაში სხვების დასახმარებლათ, თვითონ მას არ საჭიროებენ და დიდის ზეიმით და პატივით უნდა მივეგებოთო. ეს არის უბრალო «აბლაკატური» სიტყვა, ღირსი მესამე ხარისხოვანი გადამწერისა და რასაც არავითარი კავშირი არ აქვს სინამდვილესან.

ჯერ ერთი როდის იყო რომ ბოლშევიკებს ევროპის რომელიმე სახელმწიფოს ბედი აწუხებდა და მისი შენახვისათვის ზრუნავდენ? ასეთი გულუბრყვილო პოლიტიკოსები კრემლში არ ბატონობენ. ესენი ალბათ ლიგის დერეფნებში და მიტინგებზე მოინახებიან. საერთაშორისო მდგომარეობა იმდენათ საშიშარი შეიქნა მოსკოვის ხელისუფლებისათვის, რომ იძულებული ხდება თავი შეაფაროს ლიგას და მისი დახმარებით მოსალოდნელ გრიგალს გადაურჩეს. როგორ მოხდა ეს?

საბჭოთა კავშირის დიდი ხნის ცდა—ირგვლივ მოსაზღვრეთ იყოლიოს პატარა და უძლური სახელმწიფოები ბოლოს და ბოლოს დამარცხდა. აღმოსავლეთით მის კარებს ამოეტუზა დიდი იაპონია, ხოლო დასავლეთით შორი ახლო გაუჩნდა მრისხანე გერმანია. ამასთანავე ორივე ეს მეზობელი გამოვიდენ ერთა ლიგიდან, თავი გაინთავისუფლეს მისი ვალდებულებებისაგან და ხელები გახსნილი დაიტოვეს. ამ 15 წლის განმავლობაში მოსკოვი ასეთ ქალტაში პირველათ ახლა მოიმწყვდა და სრულიად ბუნებრივათ თავი იგრძნო საფრთხეში. ის ეძებს დახმარებას, არაკუნებს ყველა კარებზე, ნერვიულობს, ხეკს დიუქინობით ახალ-ახალ პაქტებს, დარბის ქუდმოგლეჯილი ამერიკას და ევროპას შორის და ბოლოს ყველა გზით ლიგისაკენ მიექანება. ლიგა მას ეჭირვება და არა ის ლიგას. ჟენევის არეოპაგს არ შეუძლია თავის თავზე აიღოს მოსკოვის მიერ დათესილი ცოდვები, როგორც თავის ხალხში, ისე სხვა ხალხებში.

როგორც ხედავთ, მოსკოვს ეჭირვება ლიგა ორი კურდღლის ერთათ დასაჭერათ: საგარეო საშიშროების თავიდან ასაცდენათ და თავისი მუშაობის ერში თუ ერთა შორის მორალური გამართლების მისაღებათ. ამ დიდი ძვირფასი საქონლისათვის ის არ დაერიდება არავითარ სასყიდელს, მით უფრო ისეთ მცირეს, როგორიცაა მისთვის საქართველოს საკითხი, საკითხი სრულიად უდაო და ცხადი. მაგრამ ის იჯანჯლებს, გაიპაიქებს, და შეეცდება ევროპის კურიერები მოიყვანოს თავის კარზე ხვეწნა-მუდარით—მობრძანდით ბატონებო ჟენევაში და გვიპატრონეთო... მაგრამ ეს მოსავალი გზა გვარიან კლდიანია; ლიგის ფორმალური წესები ლიგაში შემოსვლას აძნელებს თავისი კატეგორიული მოთხოვნილებით. ის ითხოვს:

«ყველა სახელმწიფო, დომინიონი თუ კოლონია, რომელიც კი მართავს თავისთავს თავისუფლათ გახდება ლიგის წევრი, იმ პირობით თუ ის იძლევა ნამდვილ გარანტიას თავისი სურვილების გულწრფელობისა დაიცვას თავისი საერთაშორისო დაპირებანი და ღებულობს ლიგის რეგლამენტს შესახებ სამხედრო და საზღვაო შეიარაღებისა» (მუხ. 1). ამ მუხლის შერიგება მოსკოვის მიერ საქართველოსან დადებული ხელშეკრულების დარღვევასან შეუძლებელია, მიუხედავათ ყოველნაირი აბლოკატური ცდისა. ლიგის ბრძანება კატეგორიულია, გარანტია აუცილებელია, ხოლო გარანტია კი ერთათ-ერთია—აღდგენა დარღვეული ხელშეკრულობის და მის ბაზაზე განახლება რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულებისა. ლიგაში შესვლა უამგარანტიოთ, ძალმომრეობის და დაპყრობის გაშლილი დროშით ნიშნავს დაპყრობისათვის სანქციის მიცემას, ე. ი. ლიგის ძირითადი პრინციპების დარღვევას და მით უფლებრივი საერთაშორისო ნორმის უარისყოფას.

მოსკოველები არ დაცხრებიან, ლიგაში შემოსვლამდე საბჭოთა მოქმედება ჩვენ არ გვეხებაო, იტყვიან ისინი. მაგრამ ამ შემთხვევაში რა წესით უნდა შესრულდეს პირველი მუხლის მოთხოვნილება, რას ნიშნავს «ნამდვილი გარანტიის» მიცემა თუ არა ფაქტიურათ ხელის აღება ჩადენილ უსამართლობაზე და ძალადობაზე? გარანტია უეჭველათ გულისხმობს ფაქტიურ მდგომარეობას და არა მხოლოდ სიტყვიერ დაპირებას. წინაალმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ ლიგის წევრობისათვის სავალდებულო არ არის წმინდა ხელების ქონება და ომის და შესევის უკუგდება, საკმარისია ლიგიდან რომელიმე წევრის გასვლა, მის მიერ ახალი ტერიტორიების დაპყრობა, რომ შემდეგ ის ისევ დაშვებულ იქნას ლიგაში სრულ უფლებიან წევრათ. მოსკოვის პრეცენდენტის დაშვება ნიშნავს იმას, რომ ომი და დაპყრობა აღარ არის ლიგაში შესვლის დაბრკოლება, ლიგა უარს ამბობს თავის დოქტრინაზე—სამართლიანობა, უფლება და მშვიდობიანობა გააბატონოს მთელ ქვეყანაზე.

ლიგის იურისდიქციის გავრცელება არაწევრებზედაც აშკარათ აღბეჭდილია მე-17 მუხლში. აქ სწერია:

«იმ შემთხვევაში როცა დავაა ორ სახელმწიფოს შორის, რომელთაგან ლიგის წევრია მხოლოდ ერთი ან და არც ერთი, სახელმწიფო თუ სახელმწიფონი ლიგის გარეთ მყოფნი მოიწოდებიან დაემორჩილონ დავის ამოსაწურავათ იმ ვალდებულებათ, რასაც ემორჩილებიან ლიგის წევრები თანახმათ ლიგის საბჭოს მიერ წამოყენებული პირობებისა». ეს მუხლი პირდაპირ ეხება ჩვენს შემთხვევას. დავაა რუსეთს და საქართველოს შორის, არც ერთი ამათგანი არ ყოფილა და არც არის ლიგის წევრათ; ახლა რუსეთი შემოდის ლიგაში, ამით თვითონ აცხადებს თანხმობას დაემორჩილოს ლიგის იურისდიქციას. მე-17 მუხლის ამუშავება აუცილებელია. მოსკოვის მიერ თანხმობა წინდაწინ უნდა იქმნას გამოცხადებული.

ჩვენ სრულიად არ ვართ წინაალმდეგი მოსკოვის ლიგაში შესვლის; წინაალმდეგი ვართ მხოლოდ ლიგის ბოლშევიზაციის, მისი სტატუტის დარღვევის და ამით მისი ისედაც დასუსტებული მორალური გავლენის სავსებით განადგურების, ვინ სად მიდის, მოსკოვი ჟენევაში თუ ჟენევა მოსკოვში? მოსკოვი ილებს ჟენევის პირობებს თუ ჟენევა ილებს მოსკოვის ცოდვებს?

საბჭოთა ხელისუფლება საფრთხეშია, თავის გადასარჩენათ ის დათანხმდება ლიგის ყველა პირობას, თუ კი ამ ლიგას კიდევ შერჩა საკმაო მორალური ძალა და ნებისყოფა თავის საკუთარი პრინციპების და არსებობის დასაცავათ.

ნ. ჟორდანია.

საერთო ფრონტი

თუ ევროპაში დღეს შავ ძალებმა თავი წამოყვეს და შემოტევისათვის ემზადებიან, ან ცენტრალურ ევროპაში დემოკრატია დამარცხდა და ამ დროებით იქ რეაქცია ფეხს იკიდებს და მაგრდება, სხვათა შორის ამის ერთი მთავარ მიზეზთაგანი უთუოთ კომუნისტების პოლიტიკაა. მიუხედავათ ამ უტყუარი ფაქტისა, ბევრს ეს დღესაც არ უნდა დაინახოს და ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველათ საერთო ფრონტისათვის კვლავ კომუნისტებს მიმართავენ.

როცა რუსეთში ბოლშევიკებმა ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში, მთელ თავის პერსპექტივას და იმედებს ისინი მაშინ მსოფლიო რევოლიუციაზე ამყარებდენ და ყოველგან კომუნისტების გამარჯვებას მოელოდენ. მოხდა კი წინააღმდეგი. დიდ ომს ევროპაში შედეგათ მოყვა მონარქიათა დანგრევა და ბევრ ალაგას დემოკრატიის და სოციალდემოკრატიის გაბატონება. გერმანიაში, ავსტრიაში და ჩეხოსლოვაკიაში, მაგალითად, ძალაუფლება სოციალისტებს ჩაუვარდათ ხელში. ინგლისში, საფრანგეთში, ბელგიაში, სკანდინავიის ქვეყნებში და შვეიცარიაში მუშათა პარტიების წონა და გავლენა ყველასათვის თვალსაჩინო გახდა და გაიზარდა. შვეციაში და ბელგიაში სოციალისტები კი კოალიციურ მთავრობაში შედიოდენ. თვით რუსეთიდან გამოყოფილ ქვეყნების უმრავლესობა—ფინლიანდია, ესტონია, ლატვია, პოლონეთი, უკრაინა და საქართველო სოციალისტურ პარტიების ხელმძღვანელობით და თაოსნობით უყრის საფუძველს დემოკრატიულ სახელმწიფოებრივობას.

ბოლშევიკების იმედები არ გამართლდა. კომუნიზმის მაგივრათ ყოველგან დემოკრატიამ გაიმარჯვა. ბოლშევიკებმაც უდიდესი მოწინააღმდეგე სოციალდემოკრატიაში ნახა, ის მთავარ მტრათ დაისახა და მასთან ყოველივე მრუდე საშუალებით ბრძოლა დაიწყო. მოსკოვის ხაზინიდან მილიონები გადიოდა ევროპის მუშათა კლასის დასაქსაქსავათ და მისი სოციალისტების გავლენისაგან ჩამოსაშორებლათ.

ზოგ ადგილას ომისაგან ფიზიკურათ და მორალურათ მოქანცულ ფენებში კომუნისტებმა პოვეს გამოძახილი. უნგრეთში, მაგალითად, მათ ძალაუფლებაც კი ჩაიგდეს ხელში. მაგრამ ბოლშევიკურ ყაიდაზე წარმოებულ პროპაგანდამ და პოლიტიკამ, როგორც უნგრეთში, ისე იტალიაში არა თუ დააფრთხო მსხვილი ბურჟუაზია, არამედ სავსებით ჩამოაშორა მუშათა კლასს წვრილი ბურჟუაზია და საშუალო კლასები. რა შედეგები მოყვა ყველა ამას, ეს უკვე ვიცით.

მაგრამ ევროპის ზოგი მუშათა პარტიები ამას სერიოზულ ყურადღებას არ აქცევდენ და კომუნისტებისაგან შესაფერისათ არ იმიჯნებოდენ.

ინგლისის მუშათა პარტიაში კომუნისტები თავიდანვე ფედერატიულ ნიადაგზე შედიოდენ და მის დანგრევას შიგნიდან ლამობდენ. მუშათა პარტია ამას პირველათ მეტათ ზერელეთ უყურებდა და კომუნისტების მოჭკუიანებას და მორჯულებას ელოდა. 1924 წელს ტრედუნიონებმა რუსეთში და საქართველოში სპეციალური დელეგაციაც კი გაგზავნეს. ეს დელეგაცია, ბოლშევიკების მიერ გაბრიყვებული, უკან დაბრუნებისას ინგლისელ მუშებში საბჭოთა რუსეთის სასარგებლოთ ათასნაირ ყალბ და ფანტასტიურ ცნობებს ავრცელებდა. ამის შედეგი იყო ის, რომ ინგლისის პროფესიონალურ მოძრაობაში კომუნისტებმა მაგრათ მოიდგეს ფეხი და მოძრაობა ორ მიმდინარეობათ გაიყო. ყველას ახსოვს აგრეთვე ზინოვიევის ცნობილი წერილი და ინსტრუქციები ინგლისის კომუნისტებისადმი, რასაც მოყვა ინგლისის საზოგადოებრივი აზრის მუშათა პარტიის წინააღმდეგ ამხედრება და 1924 წლის საპარლამენტო არჩევნებში მაკდონალდის მთავრობის სასტიკი დამარცხება. საჭირო გახდა ზემოთ მოყვანილი გაკვეთილები, რომ ინგლისის მუშები გონს მოსულიყვნენ და კომუნისტებისაგან განცალკევებულიყვნენ. 1925 წელს მუშათა პარტიამ, 1926 წელს კი ტრედუნიონებმა თავიანთ რიგებიდან გარიცხეს კომუნისტები და მათთან გაწყვიტეს ყოველივე კავშირი. მხოლოთ ამის შემდეგ არის, რომ ინგლისელ კომუნისტების, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური ორგანიზაციები დაჩაჩანაკდა და სრულ არარაობათ გადაიქცა.

შვეციაში, დანიაში და ჰოლანდიაში სოციალისტები თავიდანვე იყვნენ გარკვეული კომუნისტებთან დამოკიდებულების საკითხში და მათთან რაიმე საერთო მოქმედებას ყოველთვის გაურბოდენ. თუ შვეციის და დანიის მუშათა პარტიებმა შესძლეს თავის გარშემო შემოეკრიბათ არა პროლეტარული ელემენტებიც და დღესაც ამ ორ ქვეყანაში სოციალისტური მთავრობები განაგებენ, ეს მიეწერება არა მხოლოთ იმას, რომ ისინი წვრილ ბურჟუაზიის და საშუალო კლასების მიმართ სწორ პოლიტიკას აწარმოებენ, არამედ იმასაც, რომ ამ ელემენტებს ისინი თავისი ბოლშევიზანობით არ აფრთხობენ.

ნორვეგიის მუშათა პარტიის გამარჯვება უკანასკნელ არჩევნებში იმით აიხსნება, რომ მან შესცვალა პოლიტიკა, მიატოვა ბოლშევიზანობა და გლეხთა საკითხს დღევანდელი პირობების შესაფერისათ მიუდგა.

ბელგიის მუშათა პარტიაც არასოდეს კომუნისტებთან საერთო ფრონტის ჰიპნოზით არ ყოფილა შეპყრობილი. ასეთი ფრონტის წინააღმდეგი იყო ის მუდამ ბელგიაში. მას დღეს გამომუშავებული აქვს გარკვეული და ნათელი სამოქმედო გეგმა, რომელმაც მის ირგვლივ თავი უნდა მოუყაროს და დარაზმოს ერის უმრავლესობა.

ჩეხოსლოვაკიის სოციალდემოკრატიასთან ბრძოლაში დაიმსხვრა და დაიქსაქსა იქაური კომუნისტური ძალები. ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიის ნამდვილი ხერხემალი ეხლა სოციალდემოკრატიაა. ყველამ იცის, რომ მას თანაუგრძნობს პრეზიდენტი მასარიკი, რომ დიდ გავლენას განიცდის აგრეთვე საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელი ბენეში. ჩეხოსლოვაკიის მთავრობის სიმაგრის, ნებისყოფის და ანტიდემოკრატიულ ძალებთან ბრძოლის მთავარი დასაყრდენობი დღეს სოციალდემოკრატიაა.

გერმანიის სოც.-დემოკრატიის ნამდვილი ტრაღედია სწორეთ მაშინ დაიწყო, როცა მის ერთი ფრთა, დამოუკიდებლებათ წოდებულმა, კომუნისტებს გამოესარჩლა, მათთან საერთო ფრონტის ძებნა დაიწყო და მით ისინი გაზარდა და გაამაგრა. მალე დამოუკიდებლებმაც შეიგნეს თავისი შეცდომა, კომუნისტებს გაემიჯნენ და მეუმრავლესეებთან ერთ პარტიაში გაერთიანდენ. მაგრამ გვიანი იყო, სოც.-დემოკრატიას უკვე კომუნისტების თვალსაჩინოთ გაზრდილ ძალასთან ქონდა საქმე და მასთან სასტიკი ბრძოლის წარმოება უხდებოდა.

სოციალდემოკრატიასთან ბრძოლაში გერმანელი კომუნისტები ხშირათ რასისტებთან კავშირსაც არ ერიდებოდენ, თუ ამ გზით სოციალდემოკრატებს თავიდან კი მოიშორებდენ. კომუნისტებს მთავარ მტრათ სოციალდემოკრატია ყავდა გამოცხადებული. ამიტომაც იყო, რომ ფაშიზმის გამარჯვებას ისინი მათთვის უფრო ხელსაყრელათ და სასარგებლოთ სთვლიდენ. რასისტები კი თავის მხრივ კომუნისტების ტაქტიკას სათანადოთ იყენებდენ და გერმანიის დემოკრატიის დასასამარებლათ მუშაობდენ.

გერმანიაში ფაშიზმის გამარჯვების წინა კვირეებში სოციალდემოკრატები ჰიტლერის წინააღმდეგ საერთო ფრონტის შესაქმნელათ კომუნისტებს მიმართავდენ და მოუწოდებდენ. მაგრამ კომუნისტები თავიანთ შეურიგებელ ტაქტიკას განაგრძობდენ და სოციალდემოკრატიას გააფთრებით ებრძოდენ. ჰიტლერმა კი კომუნისტების მიერ დიდათ ხელის შეწყობით და თვით სოციალდემოკრატების ბევრი შეცდომების მეოხებით თავის მიზანს მიაღწია და ყველა მოწინააღმდეგებზე გაიმარჯვა.

ავსტრიაში კომუნისტები რაიმე ანგარიშ გასაწევ ძალას არასოდეს არ წარმოადგენდენ, მაგრამ ავსტრიის სოციალდემცკრატიის ხელმძღვანელობა მუდამ დიდ მფარველობას და პროპაგანდას უწევდა შინ და საერთაშორისო ასპარეზზე, ინტერნაციონალში საბჭოთა რეჟიმს და მის მეთოდებს. ამას ქონდა დიდი მნიშვნელობა, რომ ავსტრიის კლერიკალურ-რეაქციონურ წრეებს «ბოლშევიკ-მარქსისტების» წინააღმდეგ გააფთრებული დემაგოგია ეწარმოებიათ და სოციალდემოკრატიისაგან მთელი გლეხობა და პროვინცია ჩამოეშორებიათ. სოციალდემოკრატია მოექცა იზოლიაციაში უმთავრესათ მხოლოთ ვენის პროლეტარიატის ამარათ.

როგორ იყენებენ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თვალსაჩინო და ზოგ მეტად მწარე გაკვეთილებს ფრანგი სოციალისტები, რომელნიც ფაშიზმის საშიშროების შესახებ დღეს ამდენს ლაპარაკობენ?

არ სჩანს, რომ ლეონ ბლიუმზე და პოლ ფორზე დიდი შთაბეჭდილება მოეხდინოს იმ მრღვეველ და დამქსაქსველ პოლიტიკას, რომელსაც კომუნისტები ყოველგან მუშათა კლასის რიგებში აწარმოებენ. თვით საფრანგეთში ტურის კონგრესიდან დაწყებული ამ უკანასკნელი 14 წლის განმავლობაში კომუნისტები ყოველ ღონეს ხმარობდენ სოციალისტების გასანადგურებლად და მოსასპობათ. სოციალისტების დასამარცხებლათ ისინი ხშირათ არჩევნებში უკიდურეს მემარჯვენეებსაც კი უწყობდენ ხელს და მათ გამარჯვების საშუალებას აძლევდენ.

დღეს კი ფრანგი სოციალისტები მიმართავენ კომუნისტებს ფაშიზმის საშიშროების გამო და მათ დემოკრატიის და რესპუბლიკის დასაცავათ მოუწოდებენ. ამას წინეთ პარტიის ნაციონალურ საბჭოს კრებაზე მარსელ პივერი და სხვები მოსკოვში კომინტერნთან მოსალაპარაკებლათ სპეციალურ დელეგაციის გაგზავნასაც კი მოითხოვდა. ხდება რაღაც საკვირველი ამბავი. დემოკრატიის და რესპუბლიკის დასაცავათ მოუწოდებენ იმ ხალხს, რომელიც პრინციპიალურათ სწორეთ რესპუბლიკანური რეჟიმის და დემოკრატიის წინააღმდეგია და მთელი ძალღონით მათ დასანგრევათ მუშაობს და იბრძვის. ამიტომ სრულიათ გასაგებია, როცა ფრანგ კომუნისტების ცენტრალური კომიტეტი და კომინტერნი სოციალისტების მიმართვაზე უარით და დაცინვით უპასუხებენ.

თუ საფრანგეთის სოციალისტების ტაქტიკა ამავე მიმართულებით იქნება შემდეგშიაც წარმოებული, დიდი საშიშროებაა, საფრანგეთშიდაც არ განმეორდეს გერმანიის ამბები. სოციალისტები, რასაკვირველია, კომუნისტებთან ვერავითარ საერთო ფრონტს ვერ დაამყარებენ, თავიანთ ბოლშევიზანური პოლიტიკით კი მათ ადვილათ შეუძლიათ სავსებით აიმხედრონ და გადაიმტერონ მთელი საშუალო ფენები და წვრილი ბურჟუაზია. ეს კი იქნებოდა ფაშისტების წისქვილზე წყალის სხმა და მათი აუცილებელი ზრდა და გამარჯვება.

შრომის კონფედერაციის მიერ გამოცხადებულ 12 თებერვლის საპროტესტო საყოველთაო გაფიცვას, ფაშისტების 6 თებერვალს პარიზში გამოსვლების წინააღმდეგ, საფრანგეთის მცხოვრებთა დიდი ნაწილი მდგომარეობის სრული შეგნებით და თანაგრძნობით შეხვდა. ფრანგ სოციალისტებს დღეს მეტათ ხელსაყრელი პირობები აქვთ, რომ ფართე მასების მათდამი შედარებით კეთილგანწყობილება დროზე და შესაფერისათ გამოიყენონ. ასეთი გამოყენება კი შესაძლებელია არა კომუნისტებთან დაკავშირებით და საერთო ფრონტის ძებნით, არამედ ფაშიზმის ეკონომიურ მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლით და საამისოთ გარკვეულ და კონკრეტულ სამოქმედო გეგმის წამოყენებით. ჯერ ჯერობით კი ასეთი გეგმა, რომელიც უპასუხებდეს და მართლათ გამოხატავდეს, როგორც მუშათა კლასის, ისე საშუალო ფენების ინტერესებსაც, სამწუხაროთ, არ მოეპოვება საფრანგეთის სოციალიზმის არც ერთ ფრთას, არც ბლიუმის და არც რენოდელ დეას მომხრეებს.

კ. გვარჯალაძე.

◆

საპროგრამო საკითხები

პარტიული პროგრამის პროექტმა გამოიწვია მისი კრიტიკა კ. კ-ის და ი. ჭავჭანიძის მიერ და მისი დაცვა გრ. ურატაძისა («ბრძ. ხმა» № 39, 40, 41). ამ ჩვენ შენიშვნებში შევეხები მხოლოდ პირველ ორ ავტორს, ვინაიდან მესამე დგას სავსებით პროექტის თვალსაზრისზე და მისი წერილი ეთანხმება ჩვენ შეხედულებას სადაო საგანზე.

პროექტის ორივე კრიტიკოსი თავის საკმაოთ დასაბუთებულ წერილებში გამოდიან სხვადასხვა მოსაზრებიდან, ხმარობენ სხვადასხვა არგუმენტაციას, მაგრამ მიდიან ერთ და იმავე დასკვნამდე, იძლევიან ერთ და იმავე პროგრამას. ამ პროგრამის ძირითადი საკითხია საბჭოთა ხელისუფლებისაგან ჩამორთმეული ქონების განაწილება. პროექტი ითხოვს «წვრილ წარმოების და საკუთრების დაბრუნებას იმათთვის, ვისაც ის ჩამოერთვა, ხოლო მსხვილი წარმოების და საკუთრების დატოვებას თავის ხელში, როგორც ბაზას სახალხო სოციალური ეკონომიის ასაგებათ» (მუხ. 32). ამ მოთხოვნილებას ორივე ავტორი უპირდაპირებენ: სახელმწიფო იტოვებს ხელში სხვილი წარმოებიდან იმას «რასაც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და მისი კერძო მწარმოებლის ხელში გადასვლა სახელმწიფო ინტერესების შელახვა იქნებოდა» (ი.ჭ.); ასეთებია კ. კ. აზრით წარმოებანი «მონოპოლიური ხასიათის, მადნები, რკინის გზები, ავიაცია, სამხედრო მასალის დამზადება და სხ.», აგრეთვე «ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობის წარმოებანი-წყალსადენი, ელექტრონის სადგურები და სხ.». ე. ი. ორივე კრიტიკოსი გამოდიან უმთავრესათ სახელმწიფოს საჭიროებიდან, სახელმწიფოს ფუნქციებთან შეკავშირებული ეკონომიური საქმიანობიდან. ეს არის ერთი პრინციპი, რომელსაც იზიარებს ყველა სახელმწიფო და მას ახორციელებს ყველა რეჟიმი, აბსოლიუტური, ბურჟუაზიული, მონარქიული თუ დემოკრატიული. რკინის გზები, მადნები, ავიაცია და სხ.

მუშათა კლასის მდგომარეობა საბჭოთა რესპუბლიკებში

(წერილი საქართველოდან)

იმ კითხვის გამოსარკვევად, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფება მუშათა კლასი ამა თუ იმ სახელმწიფოში, საჭირო არის უპირველეს ყოვლისა გავეცნოთ ამ კლასის, ერთის მხრივ ნივთიერ მდგომარეობას, ხოლო მეორეს მხრივ უფლებრივ ნორმებს.

მუშათა კლასის ნივთიერი მდგომარეობა, როგორც საერთო წესი, განისაზღვრება იმ ნაწილით, რომელიც ამ კლასზე იხარჯება სახალხო დოვლათიდან, ანუ ეროვნულ სიმდიდრიდან, უმთავრესად, საშუალო ხელფასის ფონდის სახით. მაგრამ როდესაც სხვადასხვა სახელმწიფოს მუშათა კლასის ნივთიერ მდგომარეობას ვადარებთ ერთი მეორეს, საჭიროა ვიცოდეთ თუ საშუალო თვიური ხელფასით ერთ მუშას რომელი საგანი რამდენი შეუძლია შეიძინოს, ანუ ხელთ უნდა გვქონდეს თითოეული სახელმწიფოს მუშის ცხოვრების ინდექსი. დინამიკა ამ ინდექსების იძლევა იმის სურათს თუ რა მდგომარეობაშია მუშათა კლასის ცხოვრების დონე—იზრდება იგი, თუ შემცირებას განიცდის. ასეთი ინდექსები გამოჰყავთ ყველა ევროპიულ სახელმწიფოებში. ასეთ გზას დაადგენ საბჭოთა რესპუბლიკები «ახალი ეკონომიური პოლიტიკის» შემოღების პერიოდში. ხოლო აქ შედარება ხდებოდა არა ევროპის მუშათა კლასის მდგომარეობასთან, არამედ ბაზათ აღებული იყო სამხედრო კომუნიზმის პერიოდი ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ განვლილი იმავე წლის კვარტალები.

მაგრამ საბჭოთა სტატისტიკის ასეთი საქმიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ სახალხო მეურნეობას საშუალება მისცა მხოლოდ ხანმოკლე მოხედვის. ისე, როგორც ეს მოსდის მომაკვდავს სიკვდილის უკანასკნელ წუთებში. ფრიად ხანმოკლე იყო გაუმჯობესების პერიოდი, ვინაიდან 1928 წლიდან უკვე დაიწყო სახალხო მეურნეობის უკან დახევა და, მაშასადამე, მუშათა კლასის, წინა წლებთან შედარებით, მდგომარეობის გაუარესება. ცხოვრების ინდექსების გამოყვანა საბჭოთა რესპუბლიკებში ხელისუფლებისათვის უკვე საზიანო იყო და აღკვეთეს კიდეც.

სწორეთ ამ დროიდან იწყება განგაში საბჭოთა პრესაში იმის შესახებ, თუ როგორი სწრაფი ნაბიჯით იზრდება მუშათა კლასის ნივთიერი კეთილდღეობა და სინდისიდან გარეცხილი, თითქოს მუშათა კლასზე გულშემატკივარი «ეკონომისტები» ამ განგაშს ასაბუთებენ არა ინდექსებით, არამედ ნომინალური საშუალო ხელფასის დინამიკით. რასაკვირველია ერთ კაპიკს არ სძრავენ მოყვანილ სამუშაო ხელფასის მყიდველობით უნარზე. მართალია ხდებოდა ამ ხნის განმავლობაში (1928 წლიდან 1932 წლის დეკემბრის დამლევამდე) სამუშაო ხელფასის ზრდა, მაგრამ, სამაგიეროთ, ცხოვრების გაძვირება ერთი ათად წინ უსწრობდა სამუშაო ხელფასის ზრდას. მაგალითად, საქართველოში 1928 წელთან შედარებით, 1932 წელში სამუშაო ხელფასი გაიზარდა 64%-ით. ამავე პერიოდისათვის პური გაძვირდა 483 პროცენტით, ხორცი—900 პროცენტით, კარტოფილი—638 პროც., სიმინდი—498 პროც. რაც შეეხება ტანთსაცმელს და სხვა პირველი მოხმარების საგნებს ამაზე ხომ ლაპარაკიც მეტია.

აი, სწორეთ ასეთი მდგომარეობის დროს საბჭოთა პრესაში ერთი განგაშია ატეხილი იმის შესახებ, თუ როგორი სისწრაფით უმჯობესდება მუშათა კლასის მდგომარეობა საბჭოთა რესპუბლიკებში და როგორ იხოცება შიმშილით მუშათა კლასი კაპიტალისტურ ქვეყნებში.

მიუხედავათ ასეთი მდგომარეობისა, 1933 წლის 1 იანვრიდან იწყება კამპანია ხელისუფლების მიერ სამუშაო ხელფასის შესამცირებლად. პროფკავშირებს მიეცათ სასტიკი განკარგულება, რათა ერთი თვის განმავლობაში ჩაეტარებიათ კოლექტიური ხელშეკრულებების გადაშინჯვა და სამუშაო ხელფასის ფონდი, 1932 წლის დეკემბრის თვესთან შედარებით შეემცირებიათ 25-35 პროცენტამდე. კამპანია სამუშაო ხელფასის შესამცირებლათ დაკვრითი წესით იყო ჩატარებული, რომლის დროსაც ფეხზე იყო დაყენებული პარტიული ორგანიზაციები და მუშათა და გლეხთა ინსპექცია, თითოეული წარმოება-დაწესებულებისათვის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ გამოანგარიშებული იქმნა თვიური სამუშაო ხელფასის ფონდი და გადაეცა სახელმწიფო ბანკს სახელმძღვანელოთ. ამნაირად, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა კიდეც რომ მოისურვონ სამუშაო ხელფასის, ზოგიერთ უსაჭიროეს კვალიფიციურ პირთათვის ძველი რაოდენობით გაცემა, შეუძლებელია, ვინაიდან სახელმწიფო ბანკში გახსნილ კრედიტს ზევით ვერც ერთ კაპეიკს ვერ მიიღებენ.

სამუშაო ხელფასის ასეთმა შემცირებამ მუშამოსამსახურეთა, ისედაც მასიური ხასიათის დენადობა კიდევ უფრო გაადიდა. დადნა საამშენებლო დარგის მუშათა არმია. მუშახელის სოფლად გაქცევის გამო შეწყდა მუშაობა უამრავ სამუშაოებზე. დაიწყო მასიური გაქცევა მუშების მაღაროებიდან და ფაბრიკა ქარხნებიდან. ხელისუფლებამ აქაც იპოვა გამოსავალი, რაც გამოიხატა იმაში, რომ თავის ნებით სამუშაოდან წასულ მუშა-მოსამსახურეს ერთმევა სასურსათო წიგნაკი, ესპობა უფლება წამლობაექიმობის, სოციალური დაზღვევის და სხვა. ერთი სიტყვით მას აყენებენ კანონს გარეშე, ერთმევა პასპორტის მიღების უფლება და სხვა. ამნაირად, თუ ერთის მხრივ მოხდა სამუშაო ხელფასის შემცირება, მეორეს მხრივ მუშა-მოსამსახურეს წაერთვა უფლება სამუშაოდან წასვლის და, ასე, იგი სამუდამოთ მიეჯაჭვა წარმოება-დაწესებულებას.

მონათ მფლობელობის ხანაში, როცა მონა ველარ უძლებდა მონობის უღელს, ის გარბოდა ან მეორე მონათ მფლობელთან, სადაც უფრო შეღავათიანი უღელი ელოდებოდა ან და ესახლებოდა მიუვალ ადგილებში. «კომუნიზმის» ხანაში თანამედროვე მონა ამ საშუალებასაც კი მოკლებულია.

ამის შემდეგ ჰყოფნის გამბედაობა ოტო ბაუერს და საჯაროთ ამბობს, რომ რუსეთში სოციალისტურ მშენებლობას მუშათა კლასი გმირულად ეწევაო. ასეთი განცხადება ცინიზმია რუსეთის მუშათა კლასის მიმართ, საშინელი დაცინვაა გაძვალტყავებულ, დაავადებულ და სულთმღაფავ მუშათა მოსახლეობაზე.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს გამოვიჩინოთ ცალმხრიობა და უმართებულოთ დავხატოთ საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა კლასის მდგომარეობა შავი საღებავებით. ყველაზე უკეთეს სამსახურს ბოლშევიკების ტირანიას უწევს ის, ვინც ბოლშევიკების შესახებ არა სწორ ცნობებს ავრცელებს. ამიტომ ჩვენ შევეცდებით ზემოთ მოყვანილი სურათი მუშათა კლასის მდგომარეობის დავამტკიცოთ თვით ბოლშევიკების ხელისუფლების ოფიციალურ სტატისტიკით.

საბჭოთა ხელისუფლება წელიწადში ორჯერ ახდენს სამუშაო ხელფასის ფონდის და მუშა-მოსამსახურეთა რიცხოვნობის შრომის დარგების მიხედვით დამუშავებას. ეს მასალები გროვდება საგეგმო კომისიის შრომის სექტორში, რომელიც აჯამებს რა ყველა რესპუბლიკების მასალებს, უგზავნის მაღლა მდგომ ორგანოებს. ჩვენც სწორეთ ამ მასალებით ვსარგებლობთ და თუ ვისმეს ეჭვი შეეპარება ქვემოთ მოყვანილ სტატისტიკურ ცნობებში, კეთილ ინებოს და მიმართოს ამიერ კავკასიის საგეგმო კომისიის შრომის სექტორს.

აი ეს ცნობებიც.

ფაქტიური საშუალო თვიური ხელფასი 1932 წ. ნოემბერში საქართველოში უდრიდა:

1. საადმინისტრაციო და სასამართლოს დაწესებულებები	175 მ. 94 კ.
2. სამეცნიერო, სახალხო განათლების და სოციალური აღზ. დაწ.	150 მ. 49 კ.
3. ხელოვნების დარგში (თეატრი, კინო და ცირკი)	182 მ. 98 კ.
4. გამომცემლობა (რედაქციები და სხვა)	279 მ. 59 კ.
5. საექიმო სასანიტარო დარგში	130 მ. 43 კ.
6. სავაჭრო დაწესებულებებში (კოოპერაცია და სახ. ვაჭრობა)	161 მ. 99 კ.
7. საზოგადო კვების დარგში	96 მ. 08 კ.
8. საბანკო დაწესებულებებში	215 კ. 71 კ.
9. ტრანსპორტი (რკინის გზის გამოკლ.)	164 მ. 02 კ.
10. ფოსტა-ტელეგრაფი და ტელეფონი	142 მ. 22 კ.
11. სამშენებლო დარგში	166 მ. 42 კ.
12. საზოგადო ჰიგიენის დაწესებულებებში (აბანოები, კანალიზაცია)	126 მ. 03 კ.
13. მძიმე და მსუბუქ მრეწველ. დარგებში	125 მ. 58 კ.
მათ შორის:	
ცენზიან მრეწველობაში	116 მ. 72 კ.
არა ცენზიან მრეწველობაში	159 მ. 20 კ.
14. საბჭოთა მეურნეობებში	115 მ. 23 კ.

როდესაც ამ ცნობებს ვეცნობით ჩვენს ყურადღებას იქცევს ორი გარემოება. პირველი ის, რომ სამრეწველო დარგის მუშების საშუალო ხელფასს ადმინისტრატიული აპარატის მოსამსახურეთა ხელფასი 40 პროცენტით აღემატება. ეს შემთხვევითი მოვლენა როდია საბჭოთა სისტემაში. არსად ბიუროკრატიზმის შესახებ იმდენს არ სწერენ, რამდენსაც საბჭოთა რესპუბლიკებში, მაგრამ არსად ისე მზრუნველობის ქვეშ არ იმყოფება ბიუროკრატიული დაწესებულებები როგორც საბჭოთა რესპუბლიკებში. ამას ამტკიცებს სხვათა შორის, საშუალო სამუშაო ხელფასის შედარება სამრეწველო დარგის მუშების ხელფასთან. მეორე—იმ დროს, როცა ცენზიანი სამრეწველო დარგის მუშები თვეში საშუალოთ 116 მანეთს იღებენ, არაცენზიანი სამრეწველო დარგის მუშაკი 159 მ. და 20 კაპ. ღებულობენ. ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ არა ცენზიანი სამრეწველო დარგი ჯერ კიდევ კერძო პირების ხელშია და ხელფასიც აქ მეტია, ვიდრე ცენზიან მრეწველობის დარგებში, რომელიც მთლიანად სახელმწიფოს ხელში იმყოფება.

შედარებისათვის უმნიშვნელობას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დღეს არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში, ვიტყვით მეტს, არც ერთ კაპიტალისტური ქვეყნის კოლონიაში არ ხდება ისეთი აშკარა ექსპლოატაცია დაქირავებული მუშა ხელის, როგორსაც ადგილი აქვს საბჭოთა კავშირში, ხოლო ყველაზე უფრო დაუნდობელი ექსპლოატაციის ადგილი სახელმწიფო ხელში გადასულ წარმოება-დაწესებულებებში აქვს. ავილოთ მაგალითისათვის უბრალოთ შავი ქვის მაღაროები. ამ სამი წლის წინათ, როცა წარმოების ეს დარგი ამერიკელ კონცესიონერის—ჰარიმანის ხელში იყო და როცა ცხოვრება ერთი სამად იაფი ღირდა, საშუალო დღიური ხელფასი უდრიდა 5 მანეთს და 85 კაპეიკს. ეხლა, როცა მაღაროების ექსპლოატაცია საბჭოთა მთავრობის ხელშია, საშუალო დღიური ხელფასი უდრის 3 მან. და 18 კაპ.

მაგრამ საშუალო სამუშაო ხელფასის სიდიდე თუ სიმცირე, როგორც საერთო წესი, მისი მყიდველობითი უნარიანობით განისაზღვრება, ე. ი. დღიური, ან თვიური ხელფასით მუშას რა და რამდენი

მუდამ შეადგენდა საგანს სახელმწიფო მეურნეობის როგორც რუსეთის ძველი რეჟიმისა, ისე ევროპის სახელმწიფოებისა. ამ ჟამათ საფრანგეთის რესპუბლიკის ხელშია წარმოება და ქონება 85 მილიარდი ფრანკისა; ჰოჰენცოლერთა გერმანიაში ყველა რკინის გზა ეკუთვნოდა სახელმწიფოს. საზოგადოთ, სახელმწიფო თავიდანვე, მისი აღორძინებიდანვე, ცდილობს რაც შეიძლება მეტი ქონებრივი შეძლება დაიტოვოს თავის ხელში, რაც შეიძლება ნაკლები დაუტოვოს კერძო პირს და საზოგადოებას. ეს მიმდინარეობა შეანელა ბურჟუაზიამ ამ უკანასკნელ ერთ საუკუნეში, მას დაუპირდაპირა ლიბერალური ეკონომია. ე. ი. კერძო პირს ყველაფერი, სახელმწიფოს და საზოგადოებას არაფერი; მაგრამ ამ ჟამათ ეს ახალი, ბურჟუაზიული ეკონომიკა საყოველთაოთ დამარცხებულია და ძველი სახელმწიფოებრივი ეკონომიკა წამოყენებულია.

ჩვენი პროგრამის პროექტი კი გამოდის არა სახელმწიფოს საჭიროებიდან, არა ამ ძველი ეკონომიური სათავიდან, არც მისი მოპირდაპირე ბურჟუაზიული ეკონომიკიდან. არამედ საზოგადოებრივი საჭიროებიდან, საზოგადოების ინტერესების და მოთხოვნილებისაგან. სახელმწიფო, კერძო პირი, საზოგადოება—აი სამი ელემენტი ერთათ ერთიმეორის გვერდზე არსებულნი და მოსაქმენი. მათი მუშაობის სფერო სხვადასხვანაირია. მათი მიდრეკილება ხან ერთმანეთს ეთანხმება, ხან ერთმანეთს ებრძვის. სახელმწიფო ხშირათ არღვევს საზოგადოებას, ანადგურებს კერძო პირთა ავლა-დიდებას; კერძო პირი ხშირათ ბატონდება სახელმწიფოზე, ითვისებს საზოგადოების სიმდიდრეს, იმორჩილებს ძლიერი სუსტთ და ხდის მათ თავის მონათ, ყმათ, მუშათ. ყველა ცდა საზოგადოებისა, ე. ი. ადამიანთა კოლექტივისა, განთავისუფლდეს ამ ბატონების უღლისაგან, დაიფაროს მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა სახელმწიფოს თუ კერძო პირთა ძალმომრეობის და ყვლეფისაგან დამარცხდა. ამის თვალსაჩინო საქვეყნო მაგალითი მოგვცა ბოლშევიკურ და ფაშისტურ რეჟიმმა: ხალხი თითქოს მიუახლოვდა საზოგადოებრივ ეკონომიკას, გაიჟღინთა ანტიკაპიტალისტური სულით, შედგა სოციალურ გზაზე და აი უცებ შეჩერდა, შეყოყმანდა, ერთი დაკვრით გადახტა უკან სახელმწიფოებრივი პოლიტიკური და ეკონომიური დესპოტიისაკენ.

ცხადია, კ. კ. და ი. ჭავჭანიძე ახალს არას გვეუბნებიან, ახალ საკითხს არ უპასუხებენ, გვაძლევენ იმას რაც მუდამ იყო და არის. ხოლო იყო და არის სახელმწიფო და კერძო ეკონომია. სოციალიზმის საგანია გადააბიჯოს ამ ძველ ფორმებს და მოგვცეს მესამე—სოციალური ეკონომია. ჩვენი პროექტი ამ მესამე პრინციპისაგან გამოდის და მას უმორჩილებს თავის შემოქმედებას. ის იძლევა ახალ იდეალს, ახალ გზას, რამაც ბოლოს და ბოლოს უნდა გაიმარჯვოს. ე. ი. სოც. დემ. პროგრამის საგანია დღევანდელ მომენტში ჩარევა სახელმწიფო და კერძო ეკონომიკის სფეროში და აწყოს მათი წონასწორობა მესამე სექტორის, სოციალური ეკონომიკის შექმნით. ჩვენ არ ვსპობთ ძველ სექტორებს, მხოლოდ მათ ვტოვებთ ისეთ ურთიერთობაში, რომ მოგვცენ რაც შეიძლება ნაკლები ზარალი. არ ვიყოთ მუდმივი სხვერპლი მათი პოლიტიკური და ეკონომიური დესპოტიის. სოციალური ეკონომიის საშუალებით ვფიქრობთ მათ ლაგამი ამოვდვათ და ჩავაყენოთ შესაფერ კალაპოტში. აუშვით სახელმწიფო ეკონომია და მიიღებთ ბოლშევიზმს, აუშვით კერძო ეკონომია და მიიღებთ ფინანსიურ ოლიგარხიას, რაც დღეს ევროპას აქცევს. პროექტის მიზანია მათ გვერდით შექმნა მესამე ფაქტორის, რომელიც შეაკვეცს რა მათ მტაცებლურ ფრთას, ბოლოსდაბოლოს თანდათანობით გახდება გაბატონებული ფორმა მთელი ეკონომიური საქმიანობის.

ამნაირათ, პროექტის დედა-აზრი აგებულია სოციალური ეკონომიის საფუძველზე და მიიმართება ლიბერალური ეკონომიის წინააღმდეგ. ეს დედა-აზრი და მასზე აგებული სოციალური კონცეპცია ჩვენთვის ახალი არ არის, მე ის არ გამომიგონია ახლა; უცაბედათ, საპროგრამო საჭიროებისათვის. პირიქით ეს კონცეპცია მიიღო 1920 წ. პარტიის ყრილობამ თფილისში ჩემი მოხსენების შემდეგ და ის დაედვა საფუძვლათ ჩვენი კონსტიტუციის სოციალურ ნაწილს. აქ ნათქვამია: «რესპუბლიკას აქვს საკუთარი საალებ მიცემო და სამრეწველო მეურნეობა, რომლის გაფართოვება და ერთი მთლიანი საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნა მისი მთავარი მიზანია. რესპუბლიკა ხელს უწყობს ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოთა ასეთსავე მეურნეობის გაფართოვებას და გაძლიერებას» და სხ. (მუხლი 115).

მაშასადამე «ერთი მთლიანი საზოგადოებრივი მეურნეობის» დროშა ააფრიალა საქართველომ დიდი ხანია და თუ ვერ მოასწრო ამ ხაზზე მუშაობის გაჩაღება—ეს ბარბაროსთა შემოსევის ბრალია. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს დროშა ჩვენ არხივში შევინახოთ და დაწყებული და უხეში ძალით შეწყვეტილი ხაზი არ გავაგრძელოთ. ამ ხაზისაა ყველა ჩემი დაბეჭდილი წერილები თუ წიგნაკები, რომელნიც კი ამ საგანს ეხებიან *). პროგრამის პროექტი ამ მიმდინარეობის გაგრძელება და ჩამოყალიბებაა.

პროექტის კრიტიკოსები ლიბერალური ეკონომიკის თვალსაზრისით მართალნი არიან, უარყოფენ ბოლშევიკურ მეურნეობას და ვარდებიან კერძო ეკონომიის საბრძანებელში. მაგრამ არც ეს დროშა, არც მისი დასაბუთება სრულიად არ უდგება სოციალისტურ მსოფლმხედველობას. მთავარი მათი საბუთია ჩვენი ეკონომიური ჩამორჩენილობა და მაშასადამე აუცილებლობა ჩვენი ეკონომიური განვითარების კაპიტალისტური ეტაპებით. ჩვენი კონცეპცია კი გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ უკან ჩამორჩენილი ხალხი სხვა ხალხების მიერ გავლილ ეტაპებს ამოკლებს, ზოგს სავსებით გვერდს უხვევს და მაგრდება თანამედროვე საფეხურზე. შესაძლებელია ეს? შვილდ-ისარის ხალხი იძულებულია გადავიდეს კაჟიანი თოფის ხმარაზე თუ შეუძლია პირდაპირ მექანიკური თოფი და ტყვიისმფრქვეველი აამუშაოს? კ. მარქსი ემხრობა აი ამ მეორე მოსაზრებას, რაზედაც ვრცლათ მოვილაპარაკეთ «ბრძოლის ხმა»-ში (№ 14) და აქ აღარ გავიმეორებთ. ჩვენ არ გავდივართ ევროპის ყველა გავლილ ეტაპებს, არც პოლიტიკურს, არც ეკონომიურს, არ ვიწყებთ მანუფაქტურით, წყლის მანქანებით, განუსაზღვრელი სამუშაო დღით, სოფლის ხალხის ექსპროპრიაციით, პაუპერიზაციით და სხ. და ამ დაქცევიდან არ გადავდივართ მაღლა, უმაღლეს საფეხურზე, თანდათან და აუარებელი მსხვერპლით. ჩვენ ვებრძვით ბოლშევიკურ რეჟიმს სწორეთ იმიტომაც, რომ ის აქვეითებს ხალხს პრიმიტიულ კაპიტალიზმამდე, როცა ერი იცარცვება პოლიციური წესებით და ძალმომრეობით.

ერთი სიტყვით, პროექტის გეზია შეებრძოლოს ეკონომიის სტიქიურათ განვითარებას და ის მიმართოს შეგნებულათ ადამიანის სასარგებლოთ. ეს იდეია ახლა გზას იკაფავს, ევროპის ბურჟუაზიულ წრეებშიაც; «გეგმიანი ეკონომიკა» საყოველთაო მოთხოვნილებათ გადაიქცა. სტიქიური კაპიტალიზმის წამოყენება დღეს, ფინანსიური კაპიტალის ბატონობის ხანაში, ნიშნავს ჩვენი ქვეყნის გადაგდებას უცხო მტაცებელი კაპიტალისათვის გამოსახრავათ და გასაცარცვავათ. ახლანდელი კაპიტალი დაინტერესებულია არა წარმოების გაჩაღებაში, არამედ პროცენტების მიღებაში სხვადასხვა ხერხით და საშუალებებით. მისი უკანასკნელი და უმაღლესი გამოხატულებაა სტავისკები. მაგრამ ეს არ ნიშნავს ჩვენთვის მისაღები იყოს ყოველნაირი დაგეგმილი ეკონომიკა. ჩვენთვის მიუღებელია როგორც ბოლშევიკური, ისე ბურჟუაზიულ-ფაშისტური დაგეგმა, ვინაიდან არც ერთი ეს ფორმა ფართე მასების სასარგებლოთ არ მიიმართება. მხოლოდ ნამდვილი დემოკრატია, ე. ი. პროლეტარიატის და საშუალო კლასების შეკავშირება, და მის მიერ ერთათ ეკონომიური განვითარების ხელმძღვანელობა და აწყობა იძლევა გარანტიას მართლა სოციალური მეურნეობის უზრუნველსაყოფათ და მის მშრომელთა სასარგებლოთ ასამუშავებლათ.

სოციალური დემოკრატია, სოციალური ეკონომია—აი პროექტის დედა-აზრი. თუ ამას მივიღებთ, მის ფორმებზე დავა ადვილი გადასაწყვეტია. ჯერ პრინციპები, შემდეგ მისი განხორციელება. პროექტი ჩამოთვლის ამ პრინციპების პრაქტიკულ ფორმებს. ამ სფეროში მთავარია საკუთრების საკითხი, მეორე ხარისხოვანია მოხმარის საკითხი. თავისთავათ ცხადია რომ საზარალო და მოუხმარელი საკუთრება ვერ იქნება ბაზა სოციალური ეკონომიკის. მიზანშეწონილობა აი აქ წამოიჭრება და წარმოების ბედს გადასწყვეტს. ეს უდაოა; დავაა იმაზე თუ რას ნიშნავს წვრილი და სხვილი საკუთრება; ჩვენი კრიტიკოსები უარსყოფენ ასეთ დანაწილებას და ისინი მართალნი არიან ლიბერალური ეკონომიკის შეხედულობით. ჩვენთვის კი ეს საკითხი ნათელია: წვრილი საკუთრებაა საშუალო კლასების ქონება, საკუთრების ეს წინაკაპიტალისტური ფორმა, რაიცა არ არის შეკავშირებული კაპიტალისტურ ექსპლოატაციასან და არ შეადგენს მის მიუცილებელ ნაწილს. გლეხი, ხელოსანი, წვრილი მრეწველი და ვაჭარი ამ ფორმის საკუთრების მატარებელია. ამათ საკუთრება უბრუნდება თავისუფლათ მოსახმარათ და დასამუშავებლათ. საკუთრების ის ნაწილი, რომელიც არ არის შეკავშირებული ამ კლასების არსებობასან და ჩამოერთვათ გაბატონებულ კლასებს, არის ეს მამული თუ სამრეწველო დაწესებულება, შეიცავს სხვილ საკუთრებას და ის ხდება ბაზათ საზოგადოებრივი მეურნეობის. ამ ქონების ექსპლოატაციის საკითხი პრაქტიკული საკითხია და ემორჩილება მიზანშეწონილობას. მაშასადამე, საბჭოთა ეკონომიკის ნანგრევზე დგება ორ-ნაირი ფორმა საკუთრებისა: წვრილი, კერძო პირთა და სხვილი, საზოგადოებისა. ამ ორ სექტორს ემატება მესამე—სხვილი საკუთრება კერძო პირთა, რაიცა აღორძინდება ბუნებრივათ ეკონომიური საქმიანობის თავისუფლების ჩარჩოში. აი ეს სექტორი იქნება კერძო კაპიტალისტური შტო მთელი მეურნეობისა.

რა გარანტიაა იმის, რომ საბჭოთა სხვილი საკუთრება მართლა გახდება სოციალური ეკონომიის ბაზათ და არ გადაიქცევა «ერთ ზედმეტ კანცელარიათ». ეს გარანტია დამოკიდებულია იმაზე—თუ ვინ იქნება საბჭოთა ხელისუფლების მემკვიდრე, ვინ ჩამოართმევს მას ქონებას. ჩამოართმევენ ფაშისტები—მივიღებთ კანცელარიას და ტირანიას, ჩამოართმევს დემოკრატია, მუშები და საშუალო კლასები, მივიღებთ საზოგადო საწარმოვო და საალებ მიცემო ორგანოებს. პროექტი ხაზგასმით აღნუსხავს ამ ორგანოებს და მათ სავსებით გამოყოფს იძულებითი ორგანოებიდან; ეტატიზმი გამორიცხულია; სახელმწიფოს დარჩება ავიაცია, სამხედრო მასალების დამზადება და სხვა ასეთი მის ფუნქციებთან დაკავშირებული დარგები. სოციალური ორგანოების მუშაობა და საერთო გზაზე საერთო ძალღონით მიმართვა მოითხოვს მათ ურთიერთ დახმარებას, შეკავშირებას და ამხანაგობას. ამ მიზნით პროექტი ითხოვს მათ ერთი მეორეზე გადაბმას, კავშირთა-კავშირის დაარსებას, საერთო სამეურნეო ქსელის შექმნას. ყველა მისი წევრი ამ ქსელიდან იღებს სარგებლობას არა კანონით და ძალდატანებით, არამედ ბუნებრივათ, ურთიერთ დახმარების პრინციპით, როგორც ახლა ყველა საზოგადოების წევრს ხვდება. რაკი ყველა დარგი მეურნეობისა ეწყობა კერძო უფლების, კონკურენციის, წაგება-მოგების ნიადაგზე, ცხადია თვითეულ სექტორის და მისი ნაწილების მდგომარეობა განიზომება მხოლოდ მისი საქმიანობით და უნარიანობით.

კაპიტალიზმის აშვება «მისი საკუთარი ბუნების თანახმათ» ნიშნავს ცხვრის ფარეხში მგლის აშვებას «მისი ბუნების თანახმათ». სწორეთ ასეთი აშვებით იტანჯება დღეს კაცობრიობა. მხოლოდ აშვება მოხდა იმიტომ რომ ამშვებელი იყვნენ თვით კაპიტალისტები, ე. ი. აუშვეს თავის თავი და ეს გამოაცხადეს «საუკეთესო წყობილებათ». მთელი ფართო სახალხო მოძრაობა, როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ სფეროში, დაიწყო და გაჩაღდა სწორეთ ამ აშვების წინააღმდეგ და ის გრძელდება დღევანდლამდე. ქართულ სინამდვილეში, წვრილი საკუთრების და მეურნეობის სფეროში კაპიტალიზმის აშვება მისი «ბუნების თანახმათ» დაბოლოვდება წვრილი მესაკუთრეთა განადგურებით, მათი საკუთრების ექსპროპრიაციით, მიწების შეძლებულთა ხელში გადასვლით, გლეხთა გაბოგანებით—სოციალური კატასტროფით. და თუ ამას მიუმატებთ იმას, რომ ჩვენ ნაციონალური კაპიტალიზმი არ მოგვეპოვება, მაშასადამე გაბატონდებიან უცხო კაპიტალისტები, ცხადია სოციალური კატასტროფა მიიღებს ფორმას ნაციონალური კატასტროფისას.

დღეს ეკონომიური კონკურენცია ერთა შორის აღარ წარმოებს ძველი ინდივიდუალური გზით. თვითეული ერი ქმნის სახელმწიფო თუ აქციონერულ მონოპოლიებს და კოლექტიურათ გამოდიან მსოფლიო ბაზარზე. ბრძოლა არის ამ კოლექტივთა შორის. ამ ვეშაპებს დაუპირდაპირეთ პატარა საქართველოს მეურნეობა, აგებული თავაშვებულ კაპიტალისტურ საფუძველზე და მიიღებთ სულ მოკლე დროში ქართველი ხალხის უცხოელებისათვის დაყმობას.

მაშასადამე, ქართველი ერის, როგორც ეკონომიურ-სოციალური, ისე ნაციონალური ინტერესი აუცილებლათ მოითხოვს მისი მეურნეობის ხელმძღვანელობას და პატრონობას საერთო ინტერესების საფუძველზე. «მთლიანი საზოგადოებრივი მეურნეობის» შექმნა და მის გავლენის გაფართოვება და გაშლა საუკეთესო გარანტიაა ჩვენი ნაციონალური მეურნეობის გადარჩენის და ფართე მასების ინტერესების დაკმაყოფილების. ჩვენ გვინდა ინდუსტრიალიზაცია ხალხისათვის და არა ხალხი ინდუსტრიალიზაციისათვის; ეს უკანასკნელი მიმდინარეობა

---

*) «ბრძოლა» № 33. «ბრძოლის ხმა» № 1, 9, 12, 14. და სხ. რუსული წიგნაკი «იტოგი», დემოკრატია» და სხ.

შეუძლია შეიძინოს. ჩვენ არ მოვიყვანთ აქ თავისუფალი ბაზრის ფასებს. გვეტყვიან: თავისუფალ ბაზარზე სპეკულიაციაა გამეფებულიო. ამიტომ ავიღებთ სახელმწიფო ვაჭრობის და სახელმწიფო ორგანოების მეთვალყურეობის ქვეშ მდგომ სავაჭრო დაწესებულებების ფასებს.

სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებებში ამ ჟამად ასეთი ფასებია:

პური ერთი კილო შავი	2 მ. 50 კ.
» » » თეთრი	4 მ.
ხორცი ერთი კილო ცხვრის	14 მ.
» » » ძროხის	12 მ.
კარტოფილი ერთი კილო	2 მ. 50 კ.
ხახვი » »	2 მ. 50 კ.
კარაქი ერთი კილო	45 მ.
ერბო » »	58 მ.
საჭმელი ზეთი ლიტრა	18 მ.
შაქარი ერთი კილო	25 მ.
ჩაი » »	50 მ.

დანარჩენი საგნების ფასს აქ აღარ მოვიყვანთ, ვინაიდან ტანთსაცმელის და ფეხსაცმელის ფასები ხომ საზღაპროთ დიდია. მკითხველი თვითონ დაინახავს თუ საბჭოთა რესპუბლიკების მუშა-მოსამსახურეთ თავისი ხელფასით როგორ «ბედნიერად» შეუძლია იცხოვროს. მაგრამ არის კიდევ ერთი საშუალება, რომლითაც შეგვიძლია უფრო ნათლად დავინახოთ თუ რას წარმოადგენს, ანუ რას უდრის საშუალო სამუშაო ხელფასი საბჭოთა რესპუბლიკებში. ეს არის ეგრეთ წოდებული «ტორგსინის» მანეთი. მაგრამ ვიდრე ამ კითხვას შევეხებით, საჭიროთ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვით გავაცნოთ მკითხველს სახელმწიფო ვაჭრობის ეს ახალი სისტემა.

საბჭოთა მთავრობამ, როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობა გაცარცვა. ჩამოართვა მას ყველაფერი, რისი დანახვაც შეეძლო მთავრობის აგენტებს. უსასტიკესი ზომები იყო მიღებული, რომ მოსახლეობას ჩაებარებია მთავრობისათვის ოქრო-ვერცხლი. დაიწყო ყველა შეძლებული ოჯახების მასიური ჩხრეკა და ოჯახის მეთაურთა დაპატიმრება, რომლებსაც დახვრეტით დაშინების საშუალებით სთხოვდენ გადამალული ოქრო-ვერცხლის ჩაბარებას. დახვრეტებმა მასიური ხასიათი მიიღო. მაგრამ მოსახლეობის ერთ ნაწილს მაინც შერჩა ოქრო-ვერცხლის ზოგიერთი ნივთები და რომ ეს უკანასკნელი, შავი დღისათვის შემონახული განძეულობაც გამოერთმიათ მოსახლეობისათვის, მთავრობამ ყველა რაიონში გახსნა მაღაზიები, სადაც საქონლის შეძენა ხდება მხოლოდ ოქრო-ვერცხლზე და უცხოეთის ვალიუტაზე. ამ მაღაზიების გახსნისთანავე კოოპერატივებში და სხვა სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებებში გაჰქრენ ყველა პირველი მოხმარების აუცილებელი საგნები: საპონი, ასანთი, შაქარი, ჩაი, კარაქი, ერბო, ფართლეული, ფეხსაცმელი და სხვა. და ყველა ეს საქონელი იყიდება მხოლოდ «ტორგსინის» მაღაზიებში. ამ ბოლო დროს საბჭოთა სავაჭრო პოლიტიკამ იმდენად ცინიკური ხასიათი მიიღო, რომ მხოლოდ «ტორგსინის» მაღაზიაში შეიძლება შეიძინოთ ისეთი აუცილებელი მედიკამენტები, როგორიც არის ქინა-ქინა, საფაღარათო ზეთი და სხვა. მთელი თვეობით ქრება ხშირად ნავთიც კი და მხოლოდ «ტორგსინის» მაღაზიაში შეიძლება მისი ყიდვა. ნათქვამია: «გაჭირვება მაჩვენე—გაქცევას გიჩვენებო. საბჭოთა მოქალაქისათვის გაჭირვება ჩვეულებრივი მოვლენაა. გაქცევით კი ვერსა გაიქცევა და იძულებულია გაჭირვების ქვაბში მოიხარშოს. უკანასკნელი თუ კი რამ გააჩნია: ჭურჭელია ეს, სამკაული, თუ სხვა რამ, «ტორგსინის» სალაროს უნდა ჩააბაროს, რომ მომაკვდავ ოჯახის წევრს წამალი და საკვები უყიდოს. მოსახლეობიდან ოქრო-ვერცხლს და უცხოეთის ვალიუტას ღებულობს მთავრობა ნახევარ ფასათ, ხოლო საქონელს კი ჰყიდის ომამდე არსებულ ფასებთან შედარებით, ერთი ორათ უფრო ძვირად.

ამ ჟამად «ტორგსინის» მანეთი ყველაფერია. იგი განსაზღვრავს თითოეული საქონლის ფასს. მოსახლეობას, რასაკვირველია ოქრო-ვერცხლი და უცხოეთის ვალიუტა აღარ მოეპოვება, ხოლო «ტორგსინის» მანეთი კი განსაკუთრებული სიუხვით იყიდება. მოსახლეობა «ტორგსინის» მანეთს იძენს ჩერვონცებზე. აშკარაა «ტორგსინი» თავის ბონებს უშვებს იმ მიზნითაც, რომ იგი გაიყიდოს არა მარტო ოქრო-ვერცხლზე, არამედ ჩერვონცებზეც. ესეც სახელმწიფო სპეკულიაციის ახალი ფორმაა.

«ტორგსინის» მანეთის ჩერვონცებზე ყიდვა-გაყიდვა ხდება თვით «ტორგსინის» შენობაში ამისათვის სპეციალურად დაყენებული პირების საშუალებით. «ტორგსინის» ერთი მანეთი ღირს ჩერვონცებზე 45 მანეთი.

ამნაირად, თუ ზემოთ მოყვანილ საშუალო თვიურ ხელფასს გადავიყვანთ «ტორგსინის» მანეთებში შრომის თითოეული დარგისათვის მივიღებთ:

1. ადმინისტრატ. დაწესებ. მუშაკთათვის	3 მ. 26 კ.
2. სამეცნიერო, სახალხო განათლების და სოციალური აღზრდის მუშაკთათვის	2 მ. 79 კ.
3. ხელოვნების მუშაკთათვის	3 მ. 39 კ.
4. გამომცემლობის დარგში	5 მ. 18 კ.
5. საექიმო სასანიტარო დარგში	2 მ. 42 კ.
6. სავაჭრო დასესებულებებში	3 მ.
7. საზოგადო კვების დარგში	1 მ. 78 კ.
8. საბანკო დაწესებულებები	3 მ. 99 კ.
9. ტრანსპორტი	3 მ. 04 კ.
10. ფოსტა ტელეგრაფი და ტელეფონი	2 მ. 63 კ.
11. საამშენებლო დარგის	3 მ. 08 კ.
12. საზოგადო ჰიგიენის დარგის	2 მ. 15 კ.
13. მძიმე და მსუბუქი მრეწვ. მუშა-მოსამსახ.	2 მ. 32 კ.
14. საბჭოთა მეურნეობის	2 მ. 13 კ.

აი, რას უდრის საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა კლასის თვიური საშუალო ხელფასი გადატანილი «ტორგსინის» მანეთებში. მაგრამ ეგებ იფიქროს ვინმემ, რომ «ტორგხინის» მანეთის მყიდველობითი უნარიანობა დიდია. აი «ტორგსინის» ფასებიც:

შაქარი ერთი კილო იმავე «ტორგსინის» ნიშნებზე ღირს	50 კაპ.
კარაქი ერთი კილო	75 »
კარტოფილი ერთი კილო	3 »
ძროხის ხორცი ერთი კილო	25 »
ცხვრის ხორცი ერთი კილო	28 »
ყველი ქართული ერთი კილო	55 »
ჰოლანდიური ყველის მსგავსი	65 »
ჩითი დაბალი ხარისხის ერთი მეტრი	12 »

ასეთი ფასებია «ტორგსინში» სანოვაგეზე და ზოგიერთ პირველი საჭიროების საგნებზე.

იბადება კითხვა: თუ ასეთი მცირეა საბჭოთა რესპუბლიკებში მუშათა თვიური ხელფასი, ხოლო სანოვაგეზე დაწესებულია ზემოთ მოყვანილი ფასები, როგორღა ცხოვრობს მუშათა მოსახლეობა? როგორღა ინარჩუნებს ფიზიკურ არსებობას? ის პირობები, რომელშიაც მუშათა მოსახლეობა ცხოვრობს ჩვენში შეუძლია მკითხველმა წარმოიდგინოს მხოლოდ მაშინ, როცა პირადათ, საკუთარი თვალით ნახავს ცხოვრების ამ პირობებს, ვინაიდან აწერა მისი კალმით შეუძლებელია. დიახ, მუშათა მოსახლეობა ფიზიკურად ნადგურდება. სიკვდილიანობამ, განსაკუთრებით ბავშვთა შორის, მუშათა უბნებში უმაღლეს წერტილს მიაღწია. გადახედეთ მუშების ჩაცვენილ თვალებს, ჩამომხმარ და ჩამოყვითლებულ სახეს და ყველაფერს გიამბობთ უსიტყვოთ ეს ადამიანთა ლანდები მათი ცხოვრების შესახებ.

ოჯახის წევრებიდან ყველანი მუშაობენ. ოჯახი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, საბჭოთა რესპუბლიკებში მუშათა კლასისათვის აღარ არსებობს. ქმარი ცოლს და მშობლები შვილებს მხოლოდ ღამით ხვდებიან. პროსტიტუცია აღარ არის ადამიანისათვის დამამცირებელი მოქმედება. ის ერთი საარსებო წყაროთაგანია, რომ ფიზიკური არსებობა შეინარჩუნოს. ყოველგვარი მოქმედება: გაფლანგვა, ქურდობა, პროსტიტუცია, მექრთამეობა და სხვა, ერთი სიტყვით ყოველივე ის, რაც ადამიანთა ცხოვრების ჩვეულებრივ პირობებში საძრახისი და დასაგმობია, დღეს საბჭოთა რესპუბლიკებში ჩვეულებრივ მოვლენათ არის გადაქცეული, რომ ფიზიკური არსებობა იქნეს შენარჩუნებული.

აი საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა კლასის ცხოვრების პირობები.

ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა. რომ მუშათა კლასი ასეთ პირობებში ჩავარდებოდა, ეს წინასწარ იყო გათვალისწინებული ხელისუფლების მიერ. ხუთწლიანი გეგმა აგებული იყო ისეთ საფუძველზე, რომელიც გულისხმობდა, ერთის მხრივ სოფლის მეურნეობის სრულ გაცარცვას, მეორეს მხრივ კი იძულებითი შრომის დამყარებას და მის ჩაყენებას მონურ პირობებში. ბოლშევიკებმა ორივე ეს პირობა უნაკლოდ შეასრულეს: სოფლის მეურნეობა სრულიად გაცარცვეს, მუშათა კლასი ჩააყენეს მონის აუწერელ მდგომარეობაში—ამუშავებენ უსასყიდლოთ მშიერ-ტიტველს. მიუხედავად ამისა, ხუთწლიანი გეგმა შეუსრულებელი დარჩა, რომლის ერთი მთავარი მიზეზთაგანი შრომის ნაყოფიერების კატასტროფიული დაცემაა. ბოლშევიკებს დაავიწყდათ ერთი ანბანური ჭეშმარიტება. სახელდობრ ის, რომ მონათ მფლობელობის დაცემის მიზეზი მონის შრომის ნაყოფიერების სრული დაცემა იყო. მონობა გახდა ეკონომიური აღორძინების შემხუთავ მოვლენათ მონათმფლობელობის პერიოდში. მონობა, შემოღებული ბოლშევიკების მიერ, თავისთავად ცხადია, სოციალისტურ აღმშენებლობას ვერ გაუხდებოდა ბერკეტათ. წინააღმდეგ, შრომის ორგანიზაციის ამ ფორმამ სრულიად მოსპო ის წინასწარი პირობები, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა სოციალიზმის მომავალ შენობას.

შრომის მონურმა ორგანიზაციამ, თუ, ერთის მხრივ გამოიწვია შრომის ნაყოფიერების კატასტროფიული დაცემა, მეორეს მხრივ ასეთი შრომით მიღებული პროდუქცია ხარისხის მხრივ სრულიად უვარგისია. ვისაც არ სჯერა ეს—ვურჩევთ შევიდეს საბჭოთა რესპუბლიკების «სტანდარტიზაციის კომიტეტში» და ინახულოს საბჭოთა ქარხნების ნაწარმოებთა ნიმუშები. ფეხსაცმელები, რომლებსაც საქუსლე არა აქვთ, მოზრდილთათვის პალტოები, რომლებსაც ბავშვის სახელოები აქვთ მიკერებული, იარაღების სხვადასხვა ნაწილები, რომელნიც არც ერთ მანქანას არ უდგება, ავეჯეულობა, რომელიც ერთი ადგილიდან მეორეზე გადადგმის დროს იშლება და სხვა. ასეთი პროდუქციის გამოშვება მხოლოდ ფაბრიკატის და ნედლი მასალის დალუპას ნიშნავს და, მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში შრომა მუქთია, ნაწარმოები მაინც ძვირი ჯდება.

აი, მონური შრომის შედეგები—მისი დამახასიათებელი თვისებები.

რაც შეეხება მუშათა კლასის უფლებრივ ნორმებს საბჭოთა რესპუბლიკებში, ამაზე შემდეგ წერილში.

ზურა.

ბოლშევიკების და კაპიტალისტების თანდაყოლილი ბუნებაა. მწარმოებელი ძალების აღორძინება უნდა ეთანხმებოდეს ხალხის ინტერესებს, ხოლო ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა ამ ხალხს აქვს კონტროლი ამ ძალების განვითარებაზე. რასაკვირველია, სოციალური სექტორის მთავარი მიზანი იქნება და არის ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მაგრამ არც ერთი მეურნეობა, არც წმინდა სოციალისტური და კომუნისტური, არ შეიძლება იყოს და გასძლოს თუ მას მოგება არ აქვს. მოგება აუცილებელია ყველა ეკონომიურ რეჟიმში. მუშის ზედმეტი ღირებულება რჩება ყოველნაირ წარმოებას, რაიცა ნაწილდება სხვადასხვა აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ და რაც ანუსხული აქვს მარქს თავის გოტის პროგრამის კრიტიკაში. განსაზოგადოებული წარმოება სხვავდება კერძო კაპიტალისტურისაგან არა ამ სფეროში, არამედ მოგების მოხმარასა და განაწილებაში. ის რჩება ერთ შემთხვევაში კერძო პირს, მეორე შემთხვევაში საზოგადოებას.

დასასრულ, საჭიროა თუ არა ამ ჟამათ პროგრამმა? არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა, როგორც ეს არის ახლა, ამ იდეიური არევ-დარევის და ახალ-ახალი უტოპიების ხანაში, აზროვნების სისტემატიზაცია და პოლიტიკური ბრძოლის განათება ცხადი, გასაგები ლოზუნგებით შეადგენს მიუცილებელ საჭიროებას ყველა მებრძოლისათვის. ბოლშევიკური რეჟიმის უვარგისობა სრულიად უდაო ჭეშმარიტებაა; მაშასადამე, მისი უარყოფით დაკმაყოფილება ნიშნავს ცარიელ ალაგას მოკალათებას. დავა იწყება მხოლოდ შემდეგ, ვინ რა რეჟიმს აყენებს ბოლშევიზმის მემკვიდრეთ. ყველა ანტიბოლშევიკი გულისხმობს ამ მემკვიდრეს თავისებურათ, ყველა მიმდინარეობას თავისი შეხედულობა აქვს ამ საგანზე. მერყევი ელემენტები, რომელნიც ქადაგობენ ჯერ დავანგრიოთ საბჭოთა ტირანია და შემდეგ ვიფიქროთ მის მემკვიდრეზეო, აწარმოებენ ერთნაირ მანიოვრს თავისი პროგრამის უცაბედათ ხალხისათვის თავზე მოსახვევათ. ნათელი, გამოცხადებული პროგრამმა კი აძლევს პარტიას მკვეთრ იარაღს ყველა მერყევ, დაბნეულ და ორ სკამზე მჯდარი ელემენტების დასამარცხებლათ და ხალხის ფართე მასების მისი დროშის ქვეშ ბრძოლის ასპარეზზე თავის მოსაყრელათ. ჩვენი პარტია კარგათ იცნობს ჩვენ ხალხს, საჭიროა ხალხიც მას კარგათ იცნობდეს და მუდამ იცოდეს დანამდვილებით მისი გულის ნადები, მისი მოთხოვნილებანი, მისი ასავალ-დასავალი. პროგრამმა მიუცილებელია, რაც მალე იქნება, მით უკეთესია.

ნ. ჟ.

◆

საბჭ. საქ. სკოლები და მასწავლებლობა

(წერილი საქართველოდან)

ახალ სამოსწავლო წლის მომზადებული შეხვედრისათვის დიდი განგაში ასტეხეს ბოლშევიკებმა. საბჭოთა საქართველოს გაზეთებში მთელი რიგი წერილები იბეჭდებოდა იმის შესახებ, რომ წარსულ სამოსწავლო წელთან შედარებით სკოლები მომზადებული შეხვდებიან ახალ სამოსწავლო წელსო. განსაკუთრებით ხაზგასმული იყო ის «ფაქტი», რომ საქ. სკოლები ახალ სამოსწავლო წლისათვის უზრუნველყოფილი იქნებიან სტაბილური პროგრამებით და სასწავლო ნივთებითო.

ჩვენც პირველ რიგში შევეხებით ხსენებულ ორ საკითხს, რომელთა გარკვევა ნათელყოფს მას, რომ, ისე როგორც ყოველთვის,—ბოლშევიკური სიტყვა და პრესა—ეხლაც,—აცხადებს ერთს, ხოლო საქმის ნამდვილი ვითარება ლაღადებს მეორეს, სრულიად წინაალმდეგს.

აი ფაქტები: 1. საბჭოთა საქართველოს სკოლებს ყველა დისციპლინებში დღესაც არ გააჩნია ოფიციალური სამუშაო პროგრამა. მაგალითად: პოლიტექნიკური ათწლედის მე-9 ჯგუფისათვის ჯერაც არ არის გამოცემული (ალბად არც შედგენილი) პროგრამა მათემატიკურ საგნების, ისტორიის და გეოგრაფიის საგნის. ხოლო არსებული ოფიციალური პროგრამები—დაწყებული მე-5 ჯგუფიდან გათავებული მე-10 ჯგუფით სრულიად არ შეეფერება ხსენებულ ჯგუფების ცოდნის დონეს. აღნიშნული გარემოება იმას ამტკიცებს, რომ ხსენებული პროგრამები შედგენილია დახურულ კარებში, ე. ი. კაბინეტებში—«კაზიონურად», დაკვეთით, რომელსაც ზედ ერთვის ის ფაქტი, რომ ასეთად შედგენილი ცალკეული დისციპლინების პროგრამები შორს გაურბიან ერთმანეთს, ე. ი. არ ხერხდება მონათესავე საგნების ერთმანეთთან დაკავშირება; მასალები არეულია, არა სწორად დაჯგუფებულია, მონათესავე საგნების ერთსადაიმავე დროს მონაცემში გასავლელი მასალა ერთმანეთს არ ეგუება, რის გამოდაც წვალობს მასწავლებელი.

2. ბოლშევიკურ პრესის და ბოლშევიკ განმანათლებელთა განცხადებით სკოლებს სახელმძღვანელოები ახალ სამოსწავლო წლის დასაწყისშივე უნდა მიწოდებოდა, მაგრამ სწავლის დაწყების დღიდან, ერთი თვის შემდეგ მიიღეს სკოლებმა სახელმძღვანელოები მხოლოდ რამოდენიმე დისციპლინაში; ბევრი სახელმძღვანელო წიგნი ჯერაც არ დაბეჭდილა! გაზ. «კომუნისტში» გამოქვეყნებული იყო სია მთელი რიგი სახელმძღვანელო წიგნებისა, რომლებიც გამოცემული იქნებიან 1934 წლის დასაწყისიდან. ასე რომ წლის 1 ნახევარის მანძილზე სკოლებს არ აქვს მრავალი სახელმწიფო წიგნები. წარმოიდგინეთ ისიც, რომ რაც წიგნებია გამოშვებული ისიც ისეთი ტირაჟით არის, რომ 1 წიგნი ხშირ შემთხვევაში 2-3 მოწაფეს მიეცა. კიდევ მეტი. ჯგუფს, რომელშიდაც 40 მოწაფე სწავლობს, მიეცა წიგნები შემდეგი რაოდენობით: ქართული 25 ცალი, რუსული 23 ცალი, გეოგრაფია 12 ცალი, ალგებრა-გეომეტრია 13 ცალი, ქიმია 6 ცალი, ფიზიკა 5 ცალი, ისტორია 4 ცალი. ცხადია ზოგიერთი და ისიც ძირითად დისციპლინებში სახელმძღვანელო წიგნები ეძლევა მოწაფეთა ჯგუფს, 4-5 და ხშირად 10 კაცის შემადგენლობას. ისმება კითხვა: რა შედეგს ვღებულობთ აღნიშნულ მდგომარეობიდან? ძლიერ სამწუხაროს! მოწაფეთა ორი მესამედი, და ხშირად მეტიც, მოუმზადებელი ცხადდება გაკვეთილებზე, და მასწავლებლის შეკითხვაზე—თუ რატომ არ იცის გაკვეთილი, თვალცრემლიანი ამბობს: წიგნზე ჯერი არ მერგო, ან უკეთ, არ მათხოვეს წიგნიო. ასე იქცევა მხოლოდ შედარებით ბეჯითი მოწაფე, თორემ ზარმაცებს, რომლებიც ასე ბლომად სწავლობენ საბჭოთა სკოლებში,—საუკეთესო საბუთი ეძლევათ არ მოამზადონ გაკვეთილი. მათი პასუხი ერთია: წიგნი არა გვაქვს (არ მოგვეცით) და აბა უწიგნოდ როგორ ვისწავლიდითო. ჯგუფებში მასიური უცოდინარობის შედეგად—პროგრამის დაუძლევლობის შიშით—ბრაზობს მასწავლებელი, რადგან მან იცის, რომ ზემდგომ ორგანოებს,—ყოველგვარ დანაშაულის გარეშე,—ხშირად უყვართ მისთვის ყურის აწევა.

ეხლა გავეცნოთ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითად დასაყრდენის, მასწავლებლის საქმიანობას.

1. მასწავლებელმა უნდა შეადგინოს ჯგუფის და საგნის წლიური საწარმოო გეგმა, საგნის სამუშაო პროგრამა, 12-13 კითხვიანი დღიური, ან უკეთ გაკვეთილის გეგმა ყოველი ცალკე ჯგუფისათვის იმ დისციპლინებში, რომელსაც ხელმძღვანელობს ის. აღნიშნულის გამო მასწავლებელს კანცელარია აქვს სახლში გახსნილი; მთელი საათების სიგრძეზე ყოველდღიურად უნდა შეადგინოს გაკვეთილის გეგმა, რომელიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს ფორმისათვის, თორემ მთელი სასწავლო წლის მანძილზე არავის აღეძრება სურვილი მისი გადათვალიერების.

2. როგორც ჯგუფის დამრიგებელი (უსასყიდლოთ), მასწავლებელი ვალდებულია, ჯგუფში სხვა და სხვა სახის აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობასთან ერთად,—თითოეული მოწაფისაგან შეაგროვოს წიგნების ფული; მოწაფეთა მშობლების ჯამაგირის რაოდენობის საფუძველზე შეწერილი «თვით დაბეგვრის» თანხა; ნებაყოფლობის საფუძველზე აუცილებლად შეკრიბოს ფული მოწაფეებიდან ჟურნალ პიონერ-ოქტომბრელის და მნათობის გამოსაწერად. ასე რომ ამ სხვადასხვა ხასიათის თანხის შეკრება და ჩაბარება მეორე საქმის წარმოებას თხოულობს მასწავლებლისაგან და მართლაც საწყალი მასწავლებელი ხაზავს ქაღალდზე სვეტებს იმისათვის, რათა ჩასწეროს რომელმა მოწაფემ მოიტანა, რომელი თანხა და რა რაოდენობით. მასწავლებელი, რომელიც ყოველდღიურად ვალდებულია მოაგონოს, და უკიდურეს შემთხვევაში უბრძანოს კიდეც, მოწაფეებს ფულის შემოტანა, გამოდის «ფინ-აგენტის» როლში.

ხშირად გაიგონებთ მასწავლებლების შემდეგი ხასიათის სიტყვიერ განცხადებებს: გამაგებინეთ მასწავლებელი ვარ თუ კანცელარიის მოხელე ან და მოწაფეებში ფულის შემკრებიო.

ხშირია შემთხვევა, როცა მშობელი მოდის სკოლაში და ჯგუფის ხელმძღვანელს უცხადებს: რა ამბავია ან და რაში გჭირდება ამდენი ფულის მოთხოვნაო. რას ამტკიცებს აღნიშნული ფაქტი თუ არა იმას, რომ ბოლშევიკურმა პოლიტიკამ საზ. თვალში დასცა ავტორიტეტი მასწავლებლისა; რადგანაც თავისი ურცხვი პოლიტიკის გასატარებლად მოწაფეებში მასწავლებელი გაგზავნა: ფული მოკრიფე და ჩამაბარეო! მასწავლებელიც, ყოველდღიურად ფულის მოთხოვნით მოწაფეებიდან,—საზოგადოების თვალში კარგავს ყოველგვარ ავტორიტეტს. სოფელი ამ მხრივ კიდევ უფრო ჯობნის ქალაქს, რადგან იქ მასწავლებელი ყოველგვარ როლში გამოდის. რის გამოდაც სოფლის მასწავლებელი სოფლელთა საოხუნჯო საგანს წარმოადგენს, ე. ი. გლეხობა დასცინის თავისი შვილების მასწავლებელს.

მართლაც რომ ბოლშევიკებმა შეასრულეს ლენინის ანდერძი მასწავლებლობასთან დაკავშირებით, ე. ი. ბოლშევიკური პოლიტიკის სკოლებში მქადაგებელი და გამტარებელი მასწავლებელი ავიდა ისეთ «სიმაღლეზე», როგორზედაც არას დროს არ მდგარა.

აი, ასეთ სიმაღლეზე მდგომი საბჭოთა მასწავლებლის ხელფასიც ხომ «მაღალია». და ამ «მაღალი» ხელფასის მქონე მასწავლებელიც ხომ «უზრუნველყოფილია» მატერიალურად.

მასწავლებლებმა გასულ წელს მხოლოდ ხუთხუთი მეტრი ჩითი მიიღო (თითეულმა) მთელი წლის მანძილზე. შაქარი მხოლოდ წლის პირველ ნახევარში ერგო. და აბა 1933 წლის იანვრიდან მასწავლებლობის «დახურული განმანაწილებელი» მართლაც დახურულია, ე. ი. თაროებზე მხოლოდ ცარიელი «კარობკები» აწყვია და კედლებზე წვრილი ღვედებისაგან დაგრეხილი ქამრები. არც სხვა რომელიმე ორგანიზაცია (სამეურნეო) აქცევს ყურადღებას მასწავლებლებს.

თუ ვინიცობაა მოინდომა მასწავლებელმა რომელიმე კოოპ. სავაჭროდან საქონლის მიღება, იქ ასე უპასუხებენ: თქვენ თქვენი «დახურული განმანაწილებელი» გაქვთ და იქიდან ისარგებლეო. ცხადია კერძო ბაზარზე გასული მასწავლებელიც ნახევრად მშიერი რჩება.

რაღა გასაკვირია თუ მთელი რიგი ვალდებულებებით დატვირთული და მატერიალურად «უზრუნველყოფილი» მასწავლებლობის შრომის ხარისხიანობაც უკან მიექანება თანდათანობით. ასეთ პირობებში გადაცემული გაკვეთილი უსაზღვროდ «ხარისხიანია». მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას მაინც ყოფნის გამბედაობა ილაპარაკოს ახალ-ახალ გამარჯვებებზე სასკოლო მუშაობის დარგში.

ახალ. მარქსისტი ასლანი.

ტფილისი. 1933 წ. 15 ოქტომ.

P. S. მასწავლებლობა გაურბის პედაგოგიურ ასპარეზს. აღნიშნულის გამო ხელისუფლების მიერ რამოდენიმეჯერ იქნა მიღებული და გამოცხადებული დადგენილება, რომ ყველა ორგანიზაციები, რომლებიც მიიღებენ სამსახურში სკოლიდან გაქცეულ მასწავლებლებს—პასუხს აგებენო. ის ორგანიზაციები კი, სადაც თავს აფარებენ სკოლიდან წასული მასწავლებლები ვალდებულნი არიან დაუყონებლივ გაუსწორონ ანგარიში და მოხსნან თავიანთ დაწესებულებაში მომუშავე პედაგოგი მოსამსახურეები, რათა ისინი დაუბრუნდენ სკოლებს. ა ს.

◆◆◆

ბიანკურში

გაზეთი «ბრძოლის ხმა» იყიდება
ამხ. დ. ყორყოლიანთან
93, Av. Ed. Vaillant, 93.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა და პოლიტიკა

ფრანგების გეგმა.

ბელგიის მუშათა პარტიის სამუშაო გეგმას, რომელიც დემანის *) გეგმათ არის წოდებული, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს, როგორც ფრანგ სოციალისტების ორივე ფრთამ, ისე შრომის გენერალურ კონფედერაციამ.

დემანის გეგმის გარშემო ბლიუმის და რენოდელის მომხრეთა შორის დიდი კამათია ატეხილი და თვითოეული მათგანი ამ გეგმას თავისათ აღიარებს. მაგრამ, თუ დემანის გეგმას მიუდგომლათ და ობიექტიურათ დავაფასებთ, მაშინ მისი თავისათ გამოცხადება გაუჭირდებათ, როგორც ბლიუმის, ისე რენოდელის მიმდევრებს.

ეკონომიური რეჟიმი, რომელიც დემანის გეგმის მიხედვით უნდა დამყარდეს, იქნება «შერეული ეკონომიკა», ან, როგორც მას უწოდებენ კიდევ, «შუათანა ფორმა». ეს «შუათანა ფორმა» არ არის არც კაპიტალიზმი და არც ინტეგრალური სოციალიზმი. ის «გარდამავალი ეტაპია» კაპიტალიზმს და სოციალიზმს შორის. დემანის გეგმის განსახორციელებლათ აუცილებელია სოციალისტურ პარტიამ ძალაუფლებას წინასწარ დაეპატრონოს ან მარტოთ, ან კოალიციაში ყველა იმათთან, ვინც ამ გეგმას სამოქმედო პროგრამათ მიიღებს. მაგრამ ამ საქმეში აქტიურათ მომქმედი და ხელმძღვანელი ძალა სოციალისტური პარტიაა. ვისაც კი გაზეთ «პოპულერში» ბლიუმის უამრავი წერილები წაუკითხავს «შუათანა ფორმების» შესახებ, ის ადვილათ მოიგონებს, რომ ბლიუმი კატეგორიული წინაალმდეგი იყო «გარდამავალი ეტაპის», «შუათანა ფორმების» ცხოვრებაში გატარებისათვის სოციალისტურ პარტიას ინიციატივა გამოეჩინა და ამ მიზნით მას მთავრობაში მონაწილეობა მიეღო. ის მოითხოვდა მთელ ძალა-უფლებას ინტეგრალურ სოციალიზმის განსახორციელებლათ. ცხადია, დემანის გეგმას ის თავისათ ვერ აღიარებს.

ბელგიის სოციალისტური პარტია დაუშვებლათ სთვლის მთავრობაში მონაწილეობას და კოალიციას მათთან, ვინც დემანის გეგმას მთლიანათ და დაუყონებლივ აღსასრულებლათ არ მიიღებს. ნეო-სოციალისტები კი შესაძლებლათ სთვლიან მთავრობაში მონაწილეობის მიღებას რადიკალ-სოციალისტებთან, რომელნიც არა თუ დემანის გეგმას მიიღებენ და «შუათანა ფორმების» განხორციელებას შეუდგებიან, არამედ მათ დიდი ხანია უარი სთქვეს თავიანთ საკუთარ პროგრამაზედაც. მაშ, კომპრომისი უნდა გაუკეთოს რადიკალებს სოციალისტებმა და არა წინაალმდეგ. ცხადია, დემანის გეგმა ნეო-სოციალისტებს რადიკალებთან საკოალიციოთ ვერ გამოადგება და ულოღიკობაა, როცა მათ ეს გეგმა თავისათ მიაჩნიათ.

დემანის გეგმის ერთი მთავარი დებულებათაგანია ეტატიზმის საშიშროების თავიდან ასაცილებლათ სპეციალური ეკონომიური ორგანიზაციების დაარსება და მათი აღჭურვა აღმასრულებელი ძალის უფლებებით. საფრანგეთის სოციალისტების ორივე ფრთის დიდი ნაკლი და შეცდომა კი ის არის, რომ დღემდის ისინი თავიანთ მოქმედებაში ეტატიურ გზას ადგანან და იცავენ. ამ მხრივადაც დემანის გეგმა მათ ხაზს და ტაქტიკას სავსებით ეწინაალმდეგება.

ფრანგ სოციალისტების ორივე მიმართულება კამათის და თეორიულ მსჯელობის პროცესში არიან, შრომის გენერალური კონფედერაცია კი ამ დროს სამოქმედო გეგმაზე ფიქრობს და მის მთავარ მუხლებს იმუშავებს.

21 თებერვლის სხდომაზე შრომის გენერალურ კონფედერაციის ნაციონალურ კომიტეტმა მიიღო მანიფესტი, რომლითაც ის მიმართავს საფრანგეთის მუშათა კლასს და მთელ ერს. ამ მანიფესტში კონფედერაცია აცხადებს, რომ მტერთან საბრძოლველათ და მასზე გასამარჯვებლათ დემოკრატია დაუყონებლივ უნდა შეუდგეს მოქმედებას; მან უნდა მიმართოს ბრძოლის ახალ მეთოდებს და შეუძლებელი გახადოს საფრანგეთში ფაშისტურ რეჟიმის დამყარება; დღევანდელ ეკონომიურ ცხოვრებაში უნდა მოხდეს ღრმა ცვლილებები და გატარებულ იქნას გაბედული და რადიკალური რეფორმები.

მანიფესტი მოითხოვს: კრედიტის ნაციონალიზაციას და ბანკებზე სახელმწიფო კონტროლს; წარმოებათა მთავარ დარგების დაუყონებლივ კონტროლს მუშათა და საზოგადოებრივ წარმომადგენლების მიერ; სამუშაო დროს შემცირებას და მით უმუშევართა მუშაობაში ჩაბმას; სამუშაო ხელფასის მინიმუმის დაწესებას; საზოგადოებრივი სამუშაობების გაჩაღებას და სხვა.

ამ სამოქმედო გეგმის მთავარი მიზანია კაპიტალიზმის ბატონობის შეზღუდვა, მისი ჩარჩოების გარღვევა და არსებული ეკონომიური კრიზისიდან თავის დაღწევა.

კონფედერაციის გეგმა მოითხოვს დაარსებულ იქნას სპეციალური ეკონომიური ორგანო, რომელიც აღიჭურვება აღმასრულებელი უფლებებით და რომელსაც საშუალება ექნება წარმოება და მოხმარებითი შესაძლებლობა ერთმანეთს შეუფარდოს და მთელ ეკონომიურ მუშაობას კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიოს.

შრომის კონფედერაციის გეგმა, რომელიც ბევრ რამეში დიდათ წააგავს დემანის გეგმას და რომელიც უთუოთ ამ უკანასკნელის ზეგავლენით არის შედგენილი, დიდ ყურადღებას აქცევს აგრეთვე მუშაობის პოლიტიკურ მხარეს და მოითხოვს კონსტიტუციურ და ადმინისტრატიულ ხასიათის რეფორმებს.

ლონდონის სოციალისტური მუნიციპალიტეტი.

8 მარტის არჩევნებით ლონდონის მუნიციპალიტეტი გადადის მუშათა პარტიის ხელში. ეს პირველჯერ არის, რომ ლონდონს, მსოფლიოში ამ უდიდეს ქალაქს მისი 8 მილიონი მცხოვრებით, მუშათა წარმომადგენლები განაგებენ.

ამ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ლონდონის მუნიციპალიტეტს მუდმივათ და დიდი უმრავლესობით კონსერვატორები ბატონობდენ და განაგებდენ. დღეს კი საბჭოს 124 წევრიდან მათ მხოლოთ 55 წევრი შერჩათ; დაკარგეს 28 ადგილი. მუშათა პარტიამ მოიგო 34 ადგილი, კონსერვატორებიდან 28 და ლიბერალებიდან 6; მათ ეხლა ლონდონის საბჭოში 69 წევრი ყავს. ლიბერალებმა დაჰკარგეს ყველა ადგილიბი. კომუნისტებს წინეთაც არ ყოლიათ და არც ეხლა გაუყვანიათ არც ერთი წევრი.

ქალაქი ლონდონი ოცდაცხრა რაიონათ არის დაყოფილი და თვითოეულ რაიონს თავისი მუნიციპალური საბჭო ყავს; ყველა ამ საბჭოებს კი ფედერატიულათ ლონდონის მუნიციპალიტეტი აერთიანებს.

მუშათა პარტიის საარჩევნო პლათფორმის მთავარი მუხლები იყო: საცხოვრებელ ბინების პრობლემა—მუშათა რაიონებში ახალი ბინების აშენება; სახალხო ჯანმრთელობაზე და ჰიგიენაზე ზრუნვა; საავათმყოფოების და სკოლების საქმის უკეთ მოწყობა და მოგვარება; სიღარიბის და უმუშევრობის წინაალმდეგ ბრძოლა; გადასახადების სისტემის რეფორმა და სხვა.

ლონდონის მუნიციპალურ არჩევნებმა მუშათა წარმომადგენლნი ლონდონის საბჭოში დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დააყენა. ამ წარმომადგენელთა ლიდერი ჰერბერტ მორისონიც არჩევნების მეორე დღეს ამას გრძნობდა და აცხადებდა: ჩვენ დღეს მოწამენი ვართ ისტორიული მოვლენის, რომელიც ჩვენ წინაშე შლის აღმშენებლობითი მუშაობის დიდ პერსპექტივებს და ჩვენც ვიღებთ ჩვენ თავზე აქედგან გამომდინარე ყოველივე პასუხისმგებლობასო.

ავსტრიის ფაშიზმა სხვა ქვეყნების ფაშისტების წაქეზებით და დახმარებით მოსპო და გაანადგურა ვენის სოციალისტური მუნიციპალიტეტი. ინგლისის მუშათა პარტიამ ამაზე უპასუხა ლონდონის მუნიციპალიტეტის დაპყრობით და იქ გაბატონებით.

ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ინგლისის მუშები თვალსაჩინოთ იმარჯვებდენ ბევრ ადგილას საპარლამენტო დამატებითი არჩევნებში. გასულ წელს მათ დიდი გამარჯვება ერგოთ პროვინციების მუნიციპალურ არჩევნებში. დღეს ისინი ლონდონში იმარჯვებენ. საერთო აზრია, მოწინაალმდეგენიც ვეღარ მალავენ ამას ეხლა, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მუშათა პარტიას დიდი გამარჯვება მოელის. თუ ასეთი რამ მოხდა, ეს იქნებოდა უდიდესი ფაქტორი ევროპის სოციალისტურ პარტიების გასამაგრებლათ და შეტევითი ბრძოლებისათვის მათ წასახალისებლათ.

მ.

◆

სიმპატიური საქმე

გასული თვის ბოლო რიცხვებში ქართული ოფისის დირექტორის ბ-ნი ს. ასათიანის ინიციატივით გაიმართა ქართულ კულტურულ და პროფესიონალურ ორგანიზაციათა წარმომადგენლების კრება, რომლის მიზანს შეადგენდა გამონახა საშვალება გაჭირვებაში ჩავარდნილ ქართველ ახალგაზდობისათვის ნივთიერი და მორალური დახმარების აღმოსაჩენათ. კრებას დაესწრენ წარმომადგენლები ქართული ოფისის, ეროვნული ცენტრის, კოლონიის, ტუბერკულიოზით ავათმყოფთა დამხმარე საზოგადოების კომიტეტის, ქართველ ჟურნალისტთა კავშირის, კომბატანების კავშირის, ქართული მრევლის, ქართველ შოფერთა პროფესიონალურ კავშირის, შევარდენის და ახალგაზდობათა კავშირის.

ოფისის დირექტორმა ბ-ნმა ს. ასათიანმა მოკლეთ გააცნო დამსწრეთ ჩვენი ახალგაზდობის მეტად გაჭირვებული ნივთიერი მდგომარეობა და ამ უკანასკნელით გამოწვეული სულიერი დეპრესია. «ხელიდან გვეცლება ახალგაზდობა. იგი მარტო თავის ძალღონის ამარა დარჩენილი ვერ უძლებს დღევანდელ კრიზისის მიერ გამოწვეულ ნივთიერ გაჭირვებას; ზოგი ავადმყოფდება და უდროვო სიკვდილის მსხვერპლი ხდება, ზოგი სასოწარკვეთილებაში და უიმედობაში ვარდება და თავისი ხელით ისპობს სიცოცხლეს. ჩვენი გარდაუვალი მოვალეობაა მთელის ჩვენის ენერგიით შევებრძოლოთ ამ ეროვნულ უბედურებას, ყველა ქართველის ვალია თავისი წვლილი გაიღოს ჩვენ ახალგაზდობის დასახმარებლათ. ამ მდგომარეობით გაკადნიერებულმა შეგაწუხეთ და მოგიწვიეთ, რათა თქვენთან ერთად გამოვნახოთ გზა და საშვალება ამ დახმარების საჩქაროდ მოსაწყობათო» დაათავა ბ ნმა ს. ასათიანმა.

კრების დამსწრენი გულმხურვალედ შეხვდენ ბ-ნი ასათიანის მოწოდებას და საკითხის სათანადოთ გარკვევის შემდეგ დადგენილ იქმნა:

1. დაარსდეს ტუბერკულიოზის საზოგადოების კომიტეტთან განსაკუთრებული სექცია, რომელიც იზრუნებს და თავის დროზე აღმოუჩენს საჭირო დახმარებას გაჭირვებაში ჩავარდნილ ახალგაზდას.
2. დაიბეგროს ყველა ქართული ორგანიზაციები განსაზღვრული ყოველთვიური გადასახადით ახალ დაარსებულ სექციის სასარგებლოდ.
3. მიმართონ მოწოდებით ყველა ქართველს, ვისაც რაიმე სახსარი კი გააჩნია მოეშველონ ახალგაზდათა დამხმარე სექციას ერთდროული და ყოველთვიური წვლილის გაღებით.

დახმარების აღმომჩენთ თხოვენ თავიანთი წვლილი გადმოუგზავნონ ტუბ. ავად. დამხ. საზოგ. კომიტეტის თავმჯდომარეს ქ ნ ე. აფხაზისას, 15, rue Bréa, Paris (6^{e}). გამოგზავნილ ფულს თან უნდა ახლდეს ცნობა, რომ იგი იგზავნება ახალგაზდათა დამხმარე სექციისათვის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ქართველი დიდის თანაგრძნობით შეხვდება ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს და ყოველთვიურად გაიღებს მისთვის თავის წვლილს.

◆◆◆

,,ბრძოლის ხმის" ექსპედიციისაგან

«ბრძოლის ხმის» გამოწერა შეიძლება
ამხ. პ. სარჯველაძესთან შემდეგი მისამართით:
M-r P. Sardjveladze
9, rue Seguier 9. Paris (6)

---

*) იხ. «ბრძოლის ხმის» № 41.

Arpajon— Imprimerie de *La Gazettede Seine-et-Oise.*

Le Gérant : René Toussaint.